პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
საქარ. კომ. თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-ის და მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 181 ოთხშაბათი, 9 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 9 აგვისტო 1922 წ. № 181

ესერების „საგმირო საქმეები“

ჩვენ ხშირად ვაჩერებთ მშრომელ მასსის ყურადღებას ესერების პროცესზე, და ეს მიტომ, რომ ვაკუთნებთ მას დიდ მნიშვნელობას.

ამ პროცესს შედეგად უნდა მოყვეს უსასტიკესი დასჯა სოციალიზმის სამშობლოში გახვეულ უბოროტეს კონტრრევოლუციონერების და სისხლის სამართლის დამნაშავეების, რომელნიც თავიანთ თავს სოციალისტ რევოლუციონერებს უწოდებენ და რომლებმაც ამოდენა ზიანი მიაყენეს რუსეთის მუშათა კლასს.

ამ პროცესის შედეგ პოლიტიკურად უნდა მოისპოს ესერების პარტია და უვნებელი გახდეს ის პროლეტარულ რევოლუციისათვის.

და ამ მიზანს საბჭოთა ხელისუფლება აღწევს არა მარტო რეპრესიული ზომებით, არამედ უფრო ესერების ნამდვილი სახის გამოაშკარავებით.

ამ გზით პროცესმა მორალურად დაამარცხა ესერების პარტია და ცხადყო მისი იდეოლოგიის სრული გაკოტრება.

ეს ამავე დროს არის ლახვარის ჩაცემა ყველა შემთანხმელ პარტიებისათვის „დემოკრატიის“ იდეისათვის პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა სისტემის სასარგებლოდ.

ამ გვარად, პროცესის შედეგს აქვს არა მარტო ადგილობრივი, რუსული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობაც.

და რაც უფრო მეტი მასალა იქნება გამოქვეყნებული ესერების კონტრრევოლუციონერ—წვრილ-ბურჟუაზიულ ბუნების და მოქმედების დამახასიათებელ — დამამტკიცებელი, მით უფრო გაიზრდება ეს მნიშვნელობა, მით უფრო დაეცემა ევროპის მუშების თვალში იმ შემთანხმებელ პარტიების ლიდერების გავლენა, რომელნიც სოლიდარობას უცხადებენ ესერებს და იცავენ მათ.

პროცესზე უამრავი ფაქტები იყო გამოქვეყნებული, რომლებიც აშკარად ამტკიცებენ ესერების მოღალატეობას რუსეთის მუშათა კლასის მიმართ. ინტერვენციის ცდა და ამ მიზნით კავშირი იმპერიალისტურ ძალებთან, ტერორისტული აქტები რევოლუციის მეთაურების წინაალმდეგ, ჩამორჩენილ მასსების აჯანყება, სამეურნეო ცხოვრების დანგრევა და სხვა,—აი საშუალებები, რომლებსაც ესერები მიმართავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და „დემოკრატიის“, ე. ი. ბურჟუაზიულ წყობილების აღსადგენად.

ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება რომ ესერების ხელმძღვანელები ასეთ მოქმედებას უსირცხვილოთ რევოლუციის სახელით ამართლებენ და შემდეგშიც „გვპირდებიან“ ბრძოლის გაგრძელებას.

ბრალდებულ ტიმოფეევმა განაცხადა თავის საბოლოო სიტყვაში, რომ თავიანთ წარსულს ისინი არ მალავენ და მასში არაფერ სათაკილოს არ ხედავენ. მას არ ჩამორჩა გოცი, რომელმაც თქვა, რომ ესერები აწარმოებდნენ სწორ პოლიტიკას, და შემდეგშიაც იმუშავებენ ისე, როგორც მუშაობდნენ აქამდე.

ამაოა მათი ცდა: იმდენად გამჭვირვალეა მათი შავი ზრახვები და ცხადი „საქმენი საგმირონი“, რომ შავს თეთრად ვერ გაასაღებენ.

მაგრამ მათ საბოლოოდ უნდა ჩაუწყდეთ ხმა და თვითგამართლების სურვილი მას შემდეგ, როცა ამ უკანასკნელ დღეებში გამოქვეყნდა აღმაშფოთებელი მასალები ესერების საზღვარგარეთელ დელეგაციის „მუშაობის“ შესახებ. პარიზში არსებობს ე. წ. ადმინისტრატიული ცენტრი რომელიც შესდგება ესერების პარტიის ხელმძღვანელებისაგან. აი ეს ცენტრი ღებულობს ფულებს ჩეხოსლოვაკიის მთავრობისაგან, საფრანგეთის მთავრობისაგან, ამერიკაში რუსეთის ყოფ. ელჩის ბახმეტიევისაგან, ინგლისის აგენტ ცნობილ ბიჩერახოვისაგან.

ესერების პარიზის არქივიდან ჩანს, რომ იმპერიალისტურ მთავრობებიდან მიღებულ ფულებით ისინი სცემენ საზღვარგარეთ გაზეთებს, აწყობენ ორგანიზაციებს, ამ ფულებითვე არსებობენ ესერების ორგანიზაციები რუსეთში. ესერების საზღვარ გარეთელ დელეგაციას მჭიდრო კავშირი აქვს კაპიტალისტურ მთავრობებთან და სარგებლობს მათი აპარატებით. ადმინისტრატიული ცენტრი ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობს მოკავშირეთა მზვერავებთან ერთად, კისრულობს ჯაშუშის როლს, აგროვებს ცნობებს რუსეთის მდგომარეობის შესახებ და აწვდის მათ; მოკავშირეების დახმარებით ამზადებს აჯანყებებს საბჭოთა ფედერაციის სხვადასხვა ნაწილში და ცდილობს მოიშველიოს რუსეთის წინაალმდეგ მათი შეიარაღებული ძალები. ამგვარად, ესერების პარტიის ხელმძღვანელები გამოდიან, როგორც მოფლიო იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტები. და ისინი ასეთ მუშაობას ეწეოდნენ სწორედ მაშინ, 1921 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაამარცხა ვრანგელი, ჩააქრო კრონშტადტის აჯანყება და სამხედრო ფრონტზე გამარჯვებული შეუდგა ქვეყნის მშვიდობიან აღმშენებლობას. ეჭვი არ არი, ასეთ მუშაობას ისინი განაგრძობენ დღესაც.

საკითხავია, როგორ მოიქცევენ ბრალდებული ესერები ასეთი პირდაპირ გამანადგურებელ საბუთების გამოქვეყნების შემდეგ. მათმა ჩვეულებრივმა თვისებებმა—ორპირობამ და სიმხდალემ აქაც იჩინეს თავი, ისინი აცხადებენ, რომ არ არიან პასუხის მგებელნი საზღვარ-გარეთელ ესერების მოქმედებისათვის. მართალია, მათ არ შეეძლოთ ფიზიკური მონაწილეობის მიღება პარიზელ ცენტრის მოქმედებაში, რადგან საბჭოთა მთავრობამ მოასწრო მათი დაპატიმრება და საპყრობილეებში გამომწყვდევა, მაგრამ ეს გარემოება ოდნავაც არ ანთავისუფლებს ბრალდებულ ესერებს პასუხისმგებლობისაგან. ესერების საზღვარ-გარეთელი დელეგაცია შესდგება პარტიის ც. კომიტეტის წევრებისა და ხელმძღვანელებისაგან, რომელთა მოქმედებისათვის პასუხს აგებს მთელი პარტია, მით უმეტეს ც. კომიტეტის დანარჩენი წევრები, ამასთან საზღვარ-გარეთელი ესერების მიერ გამოგზავნილი ფულით მუშაობდნენ რუსეთში მათი ამხანაგები, და ეს უფრო აძლიერებს უკანასკნელების პასუხისმგებლობას პირველების მოქმედებისათვის, ამ გვარად ცხადია, რომ საზღვარგარეთელი ესერები მოქმედებდნენ რუსეთში მომუშავე ესერების სანქციით.

მაგრამ ბრალდებულთა სკამზე დასმული ესერები ამის თქმას ვერ ბედავენ.

მეორე მხრივ ისინი ვერ ბედავენ ხმა მაღლა განაცხადონ, რომ სწყვეტენ ყოველგვარ კავშირს ანტანტის ამ აგენტებთან, ესერების საზღვარგარეთელ დელეგაციასთან, და დაგმონ მისი მოქმედება ვინაიდან მთელი მათი წარსული და აწმყო მოწმობს, რომ ჩერნოვი, ზენზინოვი და სხვები უცხოეთში აწარმოებდნენ იმ პოლიტიკას, რომელსაც ადგნენ და ეხლაც ადგანან გოცი და ტიმოფეევი.

ეს გარემოება კარგად იცის რუსეთის მუშათა კლასმა და საბჭოთა მართლმსაჯულება არ დაინდობს ანტანტის იმპერიალიზმის ამ გაუსწორებელ აგენტებს და მუშათა კლასის მოღალატეებს.

ესერების პროცესი

ტიმოფეევის სიტყვა

ტიმოფეევი თავის სიტყვაში უმთავრესად ეკამათება ბუხარინს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შესახებ.

გოცის პასუხი.

გოცი უპასუხებს იმ პოლიტიკურ ხასიათის ბრალდებებზე, რომელიც წამოაყენეს ესერების წინაალმდეგ ბუხარინმა და კრილენკომ. „ჩვენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად, სთქვა გოცმა, ვიქონიოთ მსჯელობა ამხანაგების შესახებ იმ პარტიის წინაშე, რომლის წინაალმდეგ ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას—შეიარაღებულ ბრძოლაზე ჩვენ არასოდეს უარი არ გაგვიცხადებია და არც განვაცხადებთ. მაგრამ ბრძოლის წარმოება შეიძლება სხვა და სხვა აკორდით. დღევანდელ პირობებში (დამახინჯებულია) (გამოტოვებულია)...

ჩლენოვის განცხადება

რაკოვის მოკლე სიტყვის შემდეგ სიტყვას ამბობს ჩლენოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ თუ ბრალდებულები საშიში არ არიან, მათ არავითარი სასჯელი არ უნდა მიუსაჯოთ, ვინაიდან საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი ემსახურება არა დასჯის მიზნებს, არამედ გამასწორებელ მიზნებს.

ბუხარინის პასუხი რეპლიკებზე.

კონის მოკლე რეპლიკის შემდეგ სიტყვას იღებს ბუხარინი, რომელიც ილაშქრებს კრილენკოს წინაალმდეგ იგნატიევის შესახებ. შემდეგ ბუხარინი გადადის გოცის, ტიმოფეევის და გენდელმანის რეპლიკებზე. ჩერდება რა ადმინისტრატიულ ცენტრის საკითხზე, ბუხარინი იძლევა კითხვას: მიჩვენეთ მე ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც არ შეიძლებოდა სისაძაგლის უარყოფა (გამოტოვებულია). ეხება რა გოცის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ესერების ძალაუფლება (დამახინჯებულია). ბუხარინი მიუთითებს დახვრეტის სტატისტიკაზე და ამტკიცებს, რომ ესერების პარტიის მხრივ დახვრეტს შემთხვევები უფრო მეტი იყო. „მაგრამ ჩვენი დაწინვლა თქვენ ვერ შესძელით. ამისათვის თქვენ ძალიან მოკლე ხელები გქონდათ“. გენუაში და ჰააგაში ჩვენ წარუდგინეთ ანტანტას იმ ნგრევის ანგარიში, რომელიც თქვენ მოგვაყენეთ. თუ ჩვენ ასეთივე ანგარიშს წარმოვუდგენდით თქვენ, დავინახავდით, თუ ვინ დაანგრია მრეწველობა.

გოცი და რატნერი გვიაყვედურებენ ჩვენ ისეთ პარტიის შექმნაში, რომელიც საათის მექანიზმის სისწორით მუშაობს. ამ მექანიზმის წყალობით ჩვენ დავამარცხეთ ყველა ჩვენი მტრები და მომავალშიაც დავამარცხებთ მათ და განვამტკიცებთ პროლეტარიატის დიქტატურას“.

კამათი დასრულდა.

უმაღლეს ტრიბუნალის თავმჯდომარე პიატაკოვი აცხადებს სასამართლოს კამათს დასრულებულად. შემდეგ ბრალდებულებს მიეცემათ საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვები.

1 აგვისტოს დილის სხდომაზე პირველი სიტყვას ამბობს ევგენია რატნერი, რომელიც საბოლოო სიტყვის მაგიერ წარმოსთქვამს გრძელ პოლიტიკურ სიტყვას, რომელშიაც ის ეკამათება ლუნაჩარსკის და ბუხარინს, ინტერნაციონალის საკითხის შესახებ.

ლიხაჩიც ამბობს ასეთსავე პოლიტიკურ ხასიათის სიტყვას, მიუთითებს რა ბრალდებულთა პოლიტიკურ ღვაწლზე.

თავმჯდომარის შეკითხვა.

ტრიბუნალი სთხოვს ბრალდებულებს აღნიშნონ, როგორ მოიქცეოდენ ისინი, თუ რომ ტრიბუნალი მათ გაანთავისუფლებდა. „განაჩენის გამოტანის დროს ჩვენ უნდა ვიცოდით, ამბობს თავმჯდომარე, განაგრძობენ თუ არა ბრალდებულები საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ ბრძოლას.

დონსკოის პასუხი

ბრალდებული დონსკოი ამბობს, რომ მან სასამართლოში ანგარიში გაუსწორა პარტიის წევრთა წინაშე და იმედოვნებს, რომ პარტია არ გაასამართლებს მას მისი მოღვაწეობისათვის.

პირველ ჯგუფის ბრალდებულები.

4 აგვისტოს საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვები წარმოსთქვის პირველი ჯგუფის ბრალდებულებმა გენდელმანმა, ივანოვმა, რაკოვმა, მოროზოვმა და გოცმა.

მეორე ჯგუფის ბრალდებულები.

5 აგვისტოს დილის და საღამოს სხდომაზე ტრიბუნალმა მოისმინა მეორე ჯგუფის ბრალდებულთა საბოლოო სიტყვები. ამ ჯგუფის განცხადებებში გამოსჭვიოდა გულწრფელი მონანიება ამ მოღალატურ მუშაობისათვის, რომელშიაც ამ ჯგუფის წევრები ეწეოდენ 1917—1918 წ.წ. მეორე ჯგუფის ბრალდებულებმა სთხოვეს ტრიბუნალს განესაზღვრათ მათთვის, შეუძლიათ თუ არა მათ მუშათა წრეში უკან დაბრუნება. თუ ტრიბუნალმა მათ ასეთ განცხადებაში შეიტანა რაიმე ეჭვი, მეორე ჯგუფის ბრალდებულები მოითხოვენ, რათა ტრიბუნალმა ისინიც გაასამართლოს.

განაჩენის გამოტანა.

საბოლოო სიტყვების შემდეგ ტრიბუნალი გადის სათათბიროდ განაჩენის გამოსატანად, რომელიც გამოცხადდება კვირას საღამოს ან ორშაბათს დილით.

ამ წლის მოსავალი რუსეთში

სახალხო სასურსათო კომისარის ამხ. ბრიუხანოვის თავმჯდომარეობით სამეცნიერო ტეხნიკურ კლუბში გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება მოსკოვის საბჭოს სტატისტიკური განყოფილების გამგის ვ. გ. მიხაილოვსკისა, 1922 წლის მოსავალსა და მის ეკონომიურ შედეგებზე.

მომხსენებელი წინდაწინ აცხადებს, რომ ცენტრალურ სასტატისტიკო სამართველოს განკარგულებაში არსებული ცნობები არ არის სავსებით სრული და არ იძლევიან საშუალებას დაწვრილებით და საბოლოოდ მდგომარეობის გარკვევისას. ჯერ კიდევ არ არის მიღებული ცნობები თურქესტანიდან, ციმბირიდან და კავკასიიდან. მაგრამ მიუხედავათ ამისა, არსებული ცნობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმდინარე წელიწადი მოსავლის მიხედვით სარეკორდო წელიწადია და მოსავლიანობის მიხედვით მოგვაგონებს 1913 წელს. მოსავლის რაოდენობა განისაზღვრება საშუალოთ დესიატინაზე 60 ფუთით. გასაკვირველი წონასწორობა არსებობს მოსავლის განაწილებაში რუსეთის მთელ საბჭოთა რესპუბლიკაში.

რას მოგვცემს ჩვენ მიმდინარე წლის მოსავალი? მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გლეხობის სათესლე მასალის და ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ, თუ ვიანგარიშებთ ქალაქში მცხოვრებლებისათვის ნორმად 13 ფუთს, ხოლო სოფლელებისათვის 15 ფუთს, **მიმდინარე წლის მოსავალი მოგვცემს 415 მილიონ ფუთ ზედმეტ პურს.**

რას უნდა მოხმარდეს ეს ზედ-მეტი ნაწილი? თვით სახელმწიფოში შიგნით ის აღარ განაწილდება, მარაგათ მას არ შეინახავენ. რუსეთის პური უნდა გავიდეს მსოფლიო ბაზარზე, სადაც გლეხი პოულობს გადაცვლაში მისთვის საჭირო სასოფლო სამეურნეო იარაღს და საქონელს. იქნება თუ არა მსოფლიო ბაზარზე ადგილი რუსეთის პურისათვის? მთელი ომის განმავლობაში ეს ბაზარი უკვე შეეჩვია ცხოვრებას რუსეთის პურის გარეშე; იგი გამოიკვება ამერიკულმა პურმა, მაგრამ რუსეთის პურს წარმატებით შეუძლია გაუწიოს კონკურენცია ამერიკულ პურსა საექსპორტო ფასების დაწევის საშუალებით. შემოდგომაზე, უეჭველია, პური უფრო იაფი იქნება. ჩვენ რომ შევძლოთ ჩვენი პურის საზღვარ გარეთ გატანა, მაშინ ეფექტი რუსეთისათვის ძალიან დიდი იქნებოდა.

რუსეთის მოსავალმა ძლიერ დიდი როლი უნდა ითამაშოს, განაცხადა დასასრულ მომხსენებელმა. იგი ბევრ რასმეს მიაღწევს და ისტორიის სასწორს უეჭველად ჩვენს მხარეზე გადმოსწევს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომლის დროსაც გამოირკვა ორგვარი თვალსაზრისის არსებობა.

ერთი—მოითხოვს პურის უეჭველად საზღვარ-გარეთ გატანას და უკვე ეხლა სთვლის საჭიროთ დაუყონებლივ სათანადო ზომების მიღებას, რომელიც დაკავშირებული იქნება მის მოწყობასთან (სატრანსპორტო საშუალებანი, კერძო კაპიტალის გამოყენება და სხ.) და მეორე—რომელსაც შეუძლებლად მიაჩნია გარდა სასურსათო გადასახადისა კიდევ ზედმეტი პურის შეგროვება, ამ უკანასკნელთ აუცილებლად მიაჩნიათ პურის ადგილობრივ დატოვება განადგურებულ მეურნეობის აღდგენის მიზნით.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

მოსკოვი. 8 აგვისტო (რადიო) კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის 5 აგვისტოს სხდომაზე ამხ. სტალინმა განაცხადა: დღეს მე გამიწვიეს ამხ. ლენინთან, რომელმაც კონფერენციის მისალმების საპასუხოდ დამავალა გადმოგცეთ თქვენთვის მადლობა მისალმებისათვის. მან იმედი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც იგი დაუბრუნდება ჩვენ რიგებს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება ბურჟუაზიულ იდეოლოგიისა და პროლეტარიატის ამოცანების შესახებ.

ბურჟუაზიულ იდეოლოგიისა და პროლეტარიატის ამოცანების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ზინოვიევი, რომელმაც ანალიზი გაუკეთა რა პარტიის მუშაობას და იმ პირობებს, რომელშიც ეს მუშაობა მიმდინარეობდა, შემდეგი განაცხადა: გავიდა წელიწადი და ჩვენ უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ შავბნელი მოლოდინი ჩვენი პარტიის შესახებ არ გამართლდა პირიქით: კონტრ რევოლუციის ბანაკში, მემარცხენე მენშევიკებიდან დაწყებული სამღვდელოებამდის, ხდება გასაოცარი გახრწნა. ახალი პოლიტიკურ ასპარეზზე საბჭოთა რუსეთისთვის არის ის, რომ ანტისაბჭოთა ბანაკი ახალ ფორმებში ირაზმება, რომ ახალი პირობები გამოიყენოს. ზინოვიევი აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთის მტრები არ ამბობენ უარს მის წინაალმდეგ ბრძოლაზე, მაგრამ მხოლოდ ახლად ირაზმებიან. ზინოვიევი ამბობს, რომ კოოპერაცია არის ყველაზე უფრო დამკვრელი ფორმა მუშაობისა, რომელშიც პროლეტარიატი შესძლებს თავისი გავლენის გამოჩენას. მეორე დამკვრელი დარგია—უმაღლესი სკოლა, ლიტერატურა და გამომცემლობა.

კლარა ცეტკინის სიტყვა

მრეწველობის კომპარტიის სახელით სიტყვას ამბობს კლარა ცეტკინა, რომელსაც დარბაზი მხურვალე ტაშის ცემით ხვდება, იგი აცხადებს რომ გერმანიაში არსებული მწვავე კრიზისის დროს გერმანიის მუშების თვალები იმედით შეყურებენ საბჭოთა რუსეთს. შეჩერდება რა მემარჯვენე ესერების პროცესზე, ცეტკინა ამბობს, რომ რუსეთის ესერები არიან მოწინავე რაზმი საერთაშორისო სოციალ-გამყიდველებისა.

რუსეთის რევოლუციამ უნდა აჩვენოს საერთაშორისო პროლეტარიატს, როგორ უნდა მოვექცეთ რევოლუციის გამყიდველებს.

რაპორტის და გრამშის მისალმებანი.

სხდომის დასასრულს კონფერენციას ესალმებიან საფრანგეთის კომპარტიის სახელით რაპპორტი და იტალიის კომპარტიის სახელით გრამში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გერმანია და რუსეთი.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო) 2 აგვისტოს, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში კრესტინსკიმ ჩააბარა თავისი რწმუნების ბარათი გერმანიის მთავრობას რომლის დროსაც მან სიტყვა წარმოსთქვა; მან აღნიშნა, რომ ორივ სახელმწიფოთა მეურნეობის აღორძინებისათვის საჭიროა ნორმალური და სავსებით სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა. რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა ფიქრობს, რომ შემდეგ ნაბიჯათ, რომელიც შეეფერება ორივ რესპუბლიკის სამეურნეო ინტერესებს, უნდა ჩაითვალოს უკვე დადებულ ხელშეკრულებათა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებზედაც გავრცელება, რომელნიც შეკავშირებულნი არიან ერთ მთლიან მეურნეობრივ კავშირში. „ჩემი მთავრობას, განაცხადა კრესტინსკიმ, აგრეთვე სასურველად მიაჩნია გერმანიასა და რუსეთს შორის და აგრეთვე მის მეზობელ რესპუბლიკებთან, სავაჭრო ხელშეკრულების დადება, რომელიც გააცხოველებდა და გააღრმავებდა ეკონომიურ კავშირს მათ შორის.

საპასუხო სიტყვაში პრეზიდენტ ებერტმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობას გულწრფელად სურს დახმარება აღმოუჩინოს ორივ ამ რესპუბლიკათა აღორძინების საქმეს. „მე უერთდები თქვენ მიერ წამოყენებულ დებულებას, სთქვა ებერტმა, რომ სასწრაფოთ იმავ საფუძვლებზე დადებულ იქნას (დამახინჯებულია)... ურთიერთ ეკონომიური მუშაობისათვის“.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი მისწრაფება ამ ორ რესპუბლიკათა შორის ურთიერთი დახმარების და სამეურნეო კავშირის განმტკიცების საქმეში, შეხვდებიან გერმანიის მხრივ ყოველგვარ დახმარებას.

ლიტვინოვი და პოლონეთის მოღვაწენი.

მოსკოვი. 8 აგვისტო (რადიო) მოსკოვისაკენ მიმავალი ამხ. ლიტვინოვი შეჩერდა ვარშავაში, რომელსაც ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა პილსუდსკისთან. თათბირზე ირჩეოდა საკითხი რუსეთისა და პოლონეთის შორის მჭიდრო მეზობლობის განმტკიცების შესახებ.

საჰაერო მიმოსვლა რუსეთსა და გერმანიის შორის.

მოსკოვი. 8 აგვისტო (რადიო) დაწესდა რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა რუსეთსა და გერმანიის შორის კვირაში ორჯერ.

საგარეო ვაჭრობა.

მოსკოვი. 8 აგვისტო (რადიო) კრასინმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ 3 თვის შემდეგ ჩვენ სავაჭრო ოპერაციები საზღვარ-გარეთთან ნორმალურად მიმდინარეობს. ამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმპორტი და ექსპორტი. მოწესრიგებულია აგრეთვე ნავთის გატანის საქმე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ანტანტა და გერმანია.

გერმანიის პასუხი.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). გერმანიის საპასუხო ნოტაში აღნიშნულია ის განსხვავება, რომელიც არსებობს საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა თვალსაზრისის შორის. ნოტაში აგრეთვე გამოთქმულია იმედი იმისა, რომ კონტრიბუციის საკითხი გადასინჯული იქნება მომავალ მორიგ გადახდამდე და რომ საფრანგეთის მთავრობა არ მიმართავს „სანქციების“ ზომას მანამდის, სანამ არ გამოირკვევა შედეგები ლონდონის თათბირისა, მიუხედავათ ყოველივე ამისა, გერმანია მაინც იძლევა პირობას შეასრულოს ყველა თავისი ვალდებულებანი შეძლებისდაგვარად.

მთავრობას იცავენ.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ პირველად, დიდი ხნის შემდეგ, ყველა პოლიტიკური პარტიები გაერთიანდენ მთავრობის დასაცავად.

ინგლისის და პუანკარეს ნოტა.

ნაუენი 7 აგვისტო (რადიო). ლონდონის პოლიტიკური წრეები თავდაჭერილობით ეკიდებიან პუანკარეს უკანასკნელ ნოტას. პრესა კი ეხილავს მას მხოლოდ უფლებრივობის თვალსაზრისით და უარყოფს საფრანგეთის უფლებას, რეინლანდში მყოფ გერმანელების ქონების სეკვესტრისა.

მოწოდება ხალხისადმი.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო) გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს პუანკარეს საპასუხო ნოტის გაგზავნასთან ერთად, მიმართოს გერმანიის ხალხს მოწოდებით, განაცხადონ პროტესტი საფრანგეთის ძალადობის წინაალმდეგ.

რეპრესიები.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). ულტიმატუმის შეუსრულებლად პუანკარემ ბრძანება გასცა შემოიღონ დაუყონებლივ „სანქციების“ პირველი ხუთი მუხლი: 1. პარიზისა და სტრასბურგის დაწესებულებებში გერმანიის აკრედიტივების ცნობის გადადება; 2. საფრანგეთში გერმანელების ქონების ლიკვიდაციისათვის კუთვნილი თანხების გადახდის აკრძალვა, 3. საფრანგეთში გერმანიის ქონების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილ ნაწილების გერმანიისათვის გადაცემის გაუქმება, 4. ელზას ლოტარინგიაში გერმანელებისათვის მათი მოძრავი ქონების გადაცემის შეჩერება და 5. ელზას-ლოტარინგიაში სეკვესტრის ზომების შემოღება.

საკონტრიბუციო კომისიაში.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). ბრედბერგის რეზოლიუცია, რომელსაც დღეს იხილავენ საკონტრიბუციო კომისიაში, გულისხმობს, რომ გერმანიის ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს გერმანიის 1922 წლის გადახდათა გაუქმებას. შემდეგ რეზოლიუცია წინადადებას აძლევს მოკავშირეთ გააუქმონ ყველა საკომპენსაციო გადახდანი იმ პირობით, თუ გერმანია ყოველთვიურად გადაიხდის 500 ათას გირვანქა სტერლინგს და რომ კომისია აწესებს 1923 და 1924 წლისათვის გერმანიის გადახდათა რაოდენობას.

რეზოლიუცია არ მიიღეს

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). საკონტრიბუციო კომისიამ 3 ხმის უმრავლესობით წინაალმდეგ ერთისა დაადგინა გადასდოს ბრედბერგის რეზოლიუციის განხილვა.

საფინანსო საკითხი.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). გაზ. „პტი ჟურნალი“ მოითხოვს გერმანიის ფულების რეფორმას, რომელიც სავსებით განსახორციელებელი იქნება თუ მხედველობაში მივიღებთ არგენტინის მაგალითს.

მოლაპარაკება ბავარიის შესახებ.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). ბერლინში ბავარიის პასუხის მიღებისათანავე, პრეზიდენტ ებერტმა კანცლერ ვირტის თანხმობით წინადადება მისცა ბავარიას, ბერლინში ბავარიის რწმუნებულის საშუალებით, დაიწყონ მოლაპარაკება მიუნხენში ბერლინის წარმომადგენელთან. მოლაპარაკება დაიწყო გუშინ და მომავალში გაგრძელდება ბერლინში.

თეთრი ტერორის მუქარა.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). ლეიპციგიდან მიღებული ცნობების თანახმად, არალეგალურ ნაციონალისტური ორგანიზაციის მიერ სიკვდილით დასჯა მისჯილი აქვს სხვათა შორის პროფესორ ეინშტეინს.*)

მემალაროეთა შორის.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო) ფრანკფურტში დაიწყო მუშაობა მემალაროეთა საერთაშორისო კონგრესის აღმასკომმა. იგი განიხილავს საკითხს, თუ როგორია დამოკიდებულება ქრისტიან მემალაროეების ინტერნაციონალსა, რომელიც დაარსდა ანზბურგში და მემალაროეთა საერთაშორისო ფედერაციის შორის.

პრესა ლლოიდ-ჯორჯის სიტყვის შესახებ.

ბორდო. 6 აგვისტო (რადიო). ფრანგული გაზეთები ეხებიან რა ლლოიდ ჯორჯის სიტყვას, აცხადებენ, რომ მასში არაფერი გარკვეული არ არის ნათქვამი. გაზ. „მატენის“ აზრით ეს სიტყვა უნდა განვახილოთ შემდეგ ნაირად: გერმანიისადმი შებრალების გამოჩენა იმ პირობით თუ იგი კვლავაც სუსტი დარჩება და—თვალყურის დევნება საფრანგეთისათვის, რომელიც ძალიან ძლიერად მიაჩნიათ. გაზეთი ამბობს, რომ ლლოიდ-ჯორჯს სურს ორივე დაიცვას. თხაც—საფრანგეთი და კაპუსტაც—გერმანია. თუმცა მისთვის უკეთესი იქნებოდა თუ ორივე ისინი დაიღუპებიან, ოღონდ კი არ შეეძლოთ არჩევანი მათ შორის. გაზ.

---

*) ცნობილი მეცნიერი, პროფ. ეინშტეინი არის წევრი გერმანიის კომუნისტური პარტიისა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური

გამგეობა

აცხადებს, რომ 10 აგვისტოს, დღის 1 საათზე ამხ. ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის კავშირის კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 182 მუშტაიდის მახლობლად) გაიმართება

საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის სრულიად საქართველოს მე-2-ე ყრილობა.

(1—1)

თბილისის ქალაქის აღმასკომი.

თბილისის ქალაქის აღმასკომი ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ შრომის და ტვირთზიდვის ხარჯის ფულით შეცვლის აკრეფის დღე იქნება გამოცხადებული განსაკუთრებულად, მანამდე ყველა ის პირნი, რომელნიც ვალდებულნი არიან, თანახმათ დადგენილებისა № 6 გადაიხადონ შრომის და ტვირთზიდვის ხარჯის ფულით შეცვლა, და აგრეთვე სახლის პატრონები, კომენდანტები და მობინადრეთა კოლექტივები, მოვალენი არიან დაამზადონ აღნიშნული გადასახადი, რომელიც დაუყონებლივ უნდა იქმნეს შეტანილი დღიდან ვადის გამოცხადებისა.

ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს მოად. **ი. წიგწიგაძე.**

შრომის და ტვირთზიდვის ხარჯის გამტარებელი კომისიის თავმჯდომარეს მოად. **ნ. ნასყიდაშვილი.**

(1—1) პასუხისმგებელი მდივანი კომისიის წევრი: **ა. რუხაძე.**

„პტი-პარიზიენი“ გაკვირვებას გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ ინგლისი ენერგიული ზომების მიღების მაგივრად ითხოვს ზომიერებას და შებრალების გამოჩენას.

გერმანიის მუშათა შორის.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო) შუა გერმანიის საამშენებლო მრეწველობის წარმომადგენლებმა უარყვეს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელფასის გადიდების შესახებ. საამშენებლო წარმოებათა მუშების კავშირმა დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვები.

გერმანიის რკინის გზელთა შორის.

მოსკოვი. 7 აგვისტო ფრანკფურტში მოხდა რკინის გზელთა მომავალ ყრილობის კანდიდატების არჩევნები, არჩეულია 7 კანდიდატი კომუნისტი. ორივე სოციალისტური პარტიების კანდიდატებმა სამჯერ ნაკლები ხმა მიიღეს. ყრილობაზე ფრანკფურტიდან იქნებიან წარმომადგენელნი მხოლოდ კომუნისტები.

კომუნისტების გამარჯვება.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო) კომუნალურ მეურნეობის მუშების ყრილობის არჩევნების დროს ბერლინში არჩეულია 25 კანდიდატიდან 20 კომუნისტი.

ცხოვრების გაძვირება გერმანიაში.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). საზღვარ-გარეთის ძვირფას საქონელზე ფასების აწევამ გამოიწვია გერმანიაში სურსათ-სანოვაგეზე ფასების აწევა: ხორბალის ფასმა აიწია 1,100 მარკიდან 1,700 მარკამდე—50 კილოგრამზე, ჭვავმა 850-დან 1560 მარკამდე, ინდოეთის ჭვავმა 825-დან 1360 მარკამდე.

სარკინიგზო კრიზისი.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). გერმანიის რკინის გზებმა შეიყიდა, მოძრაობის ნორმალური მსვლელობისათვის 100,000 ტონი ნახშირი. რკინის გზის სამმართველო მოელის მოძრაობის შეჩერებას, რადგან საზღვარ-გარეთიდან ნახშირის შემოტანა შეუძლებელი ხდება.

პრესის დევნა.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო) გაზ. „დოკალ ანცეიგერი“ დაიხურა გერმანიის ხელისუფლების მიერ. მიუნხენიდან მიღებულ კორესპონდენციის მოთავსებისათვის, რომელიც იუწყებოდა, რომ თითქოს ბერლინში გაიმართა დამოუკიდებელთა და კომუნისტების კომისიის საიდუმლო სხდომა საბჭოთა რუსეთის 2 წარმომადგენლის თანადასწრებით. კორესპონდენცია ბრალს დებდა გერმანიის მთავრობას მემარჯვენეთა განიარაღებაში რევოლიუციის განვითარების ხელის შესაწყობად.

რესპუბლიკის დაცვის კანონი.

მოსკოვი 7 აგვისტო (რადიო). **ბერლინიდან იტყობინებიან: ამ უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვს რამდენიმე შემთხვევას, როდესაც მემარცხენე პარტიები წინააღმდეგ იყენებენ რესპუბლიკის დაცვის კანონს. მთელ რიგ ქალაქებში დაიწყო სასამართლოს დევნა კომუნისტების წინააღმდეგ. გაზეთები დაიხურა და სწარმოებს კომუნისტების გამომცემლობათა ჩხრეკა.**

სარეპარაციო პრობლემა.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო). ლოიდ ჯორჯმა პარლამენტში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ეხებოდა სარეპარაციო პრობლემას. მან აღნიშნა, რომ მოკავშირეთა მკაცრ მოპყრობას გერმანიისადმი, შეუძლია მიიყვანოს გერმანია სასოწარკვეთილებამდე. მაშინ ძალა უფლება გადავა ან რეაქციონერების ან კომუნისტების ხელში. გერმანიის რევოლიუცია, განსხვავდებოდა რუსეთის რევოლიუციისაგან, ვინაიდან ჩინებულად მოწყობილ ქვეყანაში მას მოახდენდა დიდი დისციპლინის ხალხი. ინგლისი გაილაშქრებს ყველა ისეთ წინადადებათა წინააღმდეგ, რომელიც გააძლიერებს ევროპის კრიზისს. ბრიტანეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის გერმანიას მოეპყრას ლმობიერად, ხოლო საფრანგეთს სამართლიანად, მაგრამ საჭიროა აგრეთვე ინგლისის ხალხისადმი სამართლიანი მოპყრობა.

ინგლისი.

ნუ თუ ახეა?

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). ლლოიდ-ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ სდგება დიდი საჰაერო ფლოტილია... სავაჭრო მიზნებისათვის.

ლონდონის თათბირი.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). 6 აგვისტოს ლონდონში ჩავიდენ პუანკარე, ლასტერი, ცანტერი, ფენისი და ქააპარი პირველი სხდომა გაიმართება 7 აგვისტოს, მანამდის პუანკარესა და ფენისს ექნებათ თათბირი კონპენსაციების შესახებ.

მბეჭდავთა გაფიცვა ინგლისში.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო. ბირმინგამში მბეჭდავთა გაფიცვის გამო გამოვიდა მხოლოდ ერთი გაზეთი 4 გვერდით. ლინკოლნშიდაც ერთი გაზეთი გამოვიდა, მხოლოდ ერთ გვერდზე.

საფრანგეთი

ამნისტია საფრანგეთში.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო) საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული ამნისტია ვრცელდება 44 სამხედრო დამნაშავეებზე. ბანდინზედაც ვრცელდება იგი, მაგრამ განთავისუფლებული არ იქნება, ვინაიდან მისი ფლოტში სამსახურის ვადა არ გათავებულა.

ლიბერალური პრესაც ახასიათებს ამ ამნისტიას, როგორც კაპიტულიაციას, როიალისტურ ფრაქციასა და ნაციონალურ ბლოკისადმი.

იტალიაში

პარლამენტის წრეებში.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). გაზ. „მატენის“ ცნობით ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის არსებული კონფლიქტი დიდ მღელვარებას იწვევს პარლამენტის წრეებში. დეპუტატებს მდგომარეობა სერიოზულათ მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ საჭიროა სასწრაფო და ენერგიული ზომების მიღება. გავრცელდა ხმები, რომ სოციალისტებს განზრახვა აქვთ თავი დაანებონ ყველა საზოგადოებრივ თანამდებობათ.

ფაქტას თხოვნა.

ბორდო 7 აგვისტო (რადიო). ფაქტამ პრესის წარმომადგენლებს სთხოვა ნუ გააძლიერებენ დასურათებას იტალიაში არსებულ სერიოზული მდგომარეობისას და ამით დახმარება გაუწიონ იტალიის მთავრობას.

სოციალისტები თავს ანებებენ თანამდებობათ.

რომი. 7 აგვისტო (რადიო). ლივორნოში ქალაქის თავი და გამგეობის წევრები, სოციალისტური პარტიის წევრები, გადადგნენ. ფიქრობენ, რომ პროვინციებში, სოციალისტები, კომუნალურ მმართველობათა ყველა წევრები, აგრეთვე გადადგებიან.

შანცერის გამგზავრება.

რომი. 7 აგვისტო (რადიო). გარეშე საქმეთა მინისტრი შანცერი ლონდონს გაემგზავრა.

დახმარება ყირიმს.

რომი. 7 აგვისტო (რადიო). სტამბოლიდან გემ „გალიციაზე“ გამოემგზავრა ყირიმში რუსეთის დამშეულთა დამხმარე პაპის მისია.

ტყვიითა და ხიშტებით.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). რომიდან მიღებული ცნობებით მტკიცდება, რომ გენუასა, მილანსა, ანკონასა, პარმასა და ლიფორნოში მთელი ძალა-უფლება გადასცეს სამხედრო ნაწილს. ძალა უფლება იქნება სამხედრო ნაწილის ხელში მანამდის, სანამ საბოლოოდ არ იქნება აღდგენილი წესიერება ამ რაიონებში.

რასიონტის პალაცციოს დარბევა.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). რავენაში რასიონტის პალაცო, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც იმით ადგილს, სადაც ცნობილი ბაირონი ცხოვრობდა, ფაშისტებსა და სოციალისტების უკანასკნელი შეტაკების დროს დანგრეულ იქნა.

ფაშისტების ხულიგნობა.

კრაუდენი. 7 აგვისტო (რადიო). მილანში ფაშისტები თავს დაესხნენ გაზ. „ავანტის“ რედაქციას და დასწვეს სტამბა. საქმეში ჩაერია პოლიცია და ჯარი. გაიმართა ბრძოლა. მოკლულ იქნა 2 ფაშისტი და ერთი ჯარისკაცი. გენუაში ფაშისტებმა დაიკავეს სან ჯიორჯიოს სასახლე. ბრძოლა გრძელდება.

არეულობა იტალიაში.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო). რომის პრესა იტყობინება პროვინციებში მომხდარ ახალ არეულობათა შესახებ. ვარში მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და ჯარს შორის. მოკლულია 2 კაცი და დაჭრილი 100.

პოლონეთში.

პოლონეთის კაბინეტი.

მოსკოვი. 7 აგვისტო (რადიო). ვარშავიდან მიღებული ცნობების თანახმად პოლონეთის სეიმმა 50 ხმის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა ნოვაკის კაბინეტს.

ირლანდია.

აჯანყებულთა სიმტკიცე.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). აჯანყებულნი დიდის სიმტკიცით იცავენ ქალაქ კილმანჩეკს, მაგრამ ამ ქალაქის მთავრობის ჯარების მიერ აღება რამოდენიმე დღის საკითხია.

საბერძნეთის ავანტიურა

ტიფი ბერძნების ჯარებს შორის.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ჩატალჯასთან მდგომ ბერძნების ჯარში გაჩნდა ტიფის ეპიდემია.

მოკავშირენი და საბერძნეთი.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). მოკავშირეთა მზადება დამთავრდა. ინგლის საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს პოზიციები და წინადადება მისცეს ბერძნებს განსაზღვრონ ნეიტრალური ზონა.

ბერძნები უკან იხევენ.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). ბერძნების ჯარების მთავარ სარდალმა აცნობა მოკავშირეებს, რომ ბერძნების ჯარები სადემარკაციო ხაზიდან სამი კილომეტრით უკან იხევენ.

ნეიტრალური ზონა.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). ბერძნების ჯარების სარდალმა ვლახოპულოსმა ინახულა იტალიის რაზმის სარდალი მომბლი ნეიტრალური ზონის საკითხის გამოსარკვევად.

ოსმალეთის პროტესტი.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). ოსმალეთის მთავრობამ გადასცა მოკავშირე სახელმწიფოთ ნოტა, რომელშიც იგი პროტესტს აცხადებს ბერძნების მიერ სმირნაში გამოცემულ პროკლამაციის წინააღმდეგ.

მოითხოვენ ბერძნების ჯარების შემცირებას.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). საფრანგეთმა მიმართა ინგლისსა და იტალიას წინადადებით დაუჭირონ მხარი მის მოთხოვნილებას ფრაკიაში ბერძნების ჯარების რიცხვის შემცირების შესახებ.

ბერძნები უარყოფენ.

ბორდო. 7 აგვისტო (რადიო). ბერძნების ცნობა უარყოფს ხმებს, თითქოს ქალაქი აიდანი დაეწვათ ბერძნებს.

ზემო-სილეზიაში

ნახშირის წარმოების დაცემა.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). ზემოსილეზიის გერმანიასა და პოლონეთის შორის განაწილების გამო, ივლისის განმავლობაში ნახშირის წარმოების ნაყოფიერება დაეცა 21 პროც.

შორეულ აღმოსავლეთში.

ციმბირის ევაკუაცია.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). იაპონიის ლონდონის საელჩო იტყობინება, რომ ტოკიოდან მიღებულია ბრძანება გაიყვანონ ჩრდილო სახალინიდან 2 ბატალიონი და ნიკოლაევსკიდან 1 ბატალიონი.

ვეი-ხა ვეის დაბრუნება.

კრაუდენი. 7 აგვისტო (რადიო). გაზ. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით ინგლისის მიერ ჩინეთისათვის ვეი-ხავეის აგვისტოს განმავლობაში დაბრუნება განზრახული იქნება ვეი-ხავეიში ჩინეთის დელეგაციასა და ინგლისის ჯარების სპეციალური კომისიის მიერ.

აღმოსავლეთში.

ოსმალეთის პროტესტი.

ნაუენი. 7 აგვისტო (რადიო). ოსმალეთის მთავრობამ მიმართა მოკავშირეებს პროტესტის ნოტით, ბერძნების მიერ სმირნისა და მცირე აზიის ჩამორთმეულ ადგილების ავტონომიის გამოცხადების გამო.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

სასურსათო სახ. კომისარიატის მუშაობა. სასურსათო სახ. კომისარიატის მოღვაწეობას ჩარჩოების 6 თვის თანდათანობითი შევიწროებისა და მისი ტეხნიკურ ფუნქციათა საზოგადოებრივ ორგანიზაციების—კოოპერატივების ხელში გადასვლის შემდეგ—სასურსათო სახ. კომისარიატი იძულებულია დაუბრუნდეს წინანდელ მუშაობის მეთოდებს; ე. ი. აიღოს თავის ხელში სახელმწიფო მომარაგების მთელი საქმე: საქონლის დამზადება, საქონლის გაცვლა-გამოცვლა და განაწილება, გააფართოვოს თავისი აპარატი და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში მიმართოს კოოპერაციებს და კერძო კონტრაგენტების დახმარებას, სხვა და სხვა საგარანტიო ხელშეკრულებათა საფუძვლებზე. ამის მიზეზია—კოოპერაციის სისუსტე, კიდევ უფრო სუსტი და თითქმის სრული უქონლობა საზოგადოებრივი ინიციატივისა, კოოპერაციის საქმისადმი სრული გულგრილობა, როგორც ქალაქის ისე სოფლის საზოგადოებრივი წრეების მხრივ უცვლელი დარჩა მდგომარეობა გაგრის მაზრაში, სადაც კოოპერაცია იდგა სათანადო სიმაღლეზე. იქ როგორც საქონლის გაცვლა-გამოცვლა, ისე განაწილება არის კოოპერაციის ხელში და სახელმწიფო სასურსათო საგანის როლი განისაზღვრება საერთო ხელმძღვანელებით და კონტროლით. მაზრებთან კავშირი სუსტია და სამაზრო სასურსათო განყოფილების მუშაობას ხელმძღვანელობას უწევდა ცენტრი დეპეშით და ცირკულიარული განკარგულებებით და სიტყვიერი და წერილობითი დარიგების მიცემით. ეს განკარგულებანი მდგომარეობდა შემდეგში (ივნისში): ინსტრუქციები მომარაგების და განაწილების წესის და ნორმების შესახებ, სასურსათო გადასახადების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის წესის შესახებ, ანეული ნათესების აღრიცხვის შესახებ, 1921 წ. სასურსათო გადასახადის აკრეფის შესახებ და მისი გადარიცხვა ნარჩენად, რომელიც უნდა განაღდებულ იქნეს 1922 წლის მოსავლიდან, ინსტრუქცია გლეხებისათვის მიცემულ სათესლე მარცვლის დაბრუნების შესახებ და სხვა.

გარდა ამისა ივნისში აღძრულია და უცდის სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებას შემდეგი საკითხებისა: სასურსათო სახ. კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებთან კოლექტიურ ხელშეკრულების დადება, დადგენილების პროექტი სასურსათო გადასახადის ანგარიშში გადასახადის შემოღების შესახებ (დადგენილების პროექტი 1922 წ. სასურსათო გადასახადის შესახებ, შეტანილია აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიაში), სასურსათო სახ. კომისარიატის ძალებით ტვირთზიდვის ოპერაციების წარმოების უფლების შესახებ სასურსათო სახალხო კომისარიატის ფინანსიურად უზრუნველყოფა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის გამო და სხვა. სასურსათო სახ. კომისარიატის მუშაობის გაფართოების გამო თანამშრომელთა რიცხვი გაიზარდა: ივნისში სოხუმში ითვლებოდა 30, მაზრებში—15.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა ამავე კომისარიატთან დაარსოს ეკონომიური თათბირი. ეკონომიურ თათბირის შემადგენლობაში შედიან, თავმჯდომარედ სამკურნალოს განყოფილების გამგე და თითო წარმომადგენელი ყოველ სამკურნალო დაწესებულებიდან და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამეურნეო განყოფილების გამგე.

ბრძოლა სიმშილობასთან

ლატარია დამშეულთა სასარგებლოთ.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა და ცალკე კავკასიის არმიის საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომისიამ, ურთიერთ შორის შეთანხმებით, დაადგინეს აძლიონ „ლოტო“ ს მოთამაშეებს ლატარიის ბილეთებით მოცემული თანხის 10 პროც. თანაბრად:

ერთ ლატარიას მოაწყობს ს. ს. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახ. კომისარიატი, საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ 1.200.000.000 მან. ქარ. ბონ გათამაშებით, მეორე ფულიან ლატარია-ალეგრის მოაწყობს უმაღლეს ცენტრ. აღმასკომთან არსებული დამშეულთა დამხმარე ცენტრალ კომიტეტი, 78.000.000.000 მან. საბ. ნიშ. გათამაშებით.

3 აგვისტოს იწყო ცხოვრებაში გა ტარება ამ პრინციპმა და გამო ბრწყინვალი შედეგი. საქართველ დამშეულთა სასარგებლოდ მოწ ბილ ლატარიასათვის, რომლის ბი თების გაყიდვა განზრახულია მხ ლოდ საქართველოს საზღვრებშ ასეთ გაყიდვას აქვს უდიდესი მნ ვნელობა და იძლევა იმედს, რომ ტარია კარგად ჩატარდება და დ შეულთა დახმარების საქმეს მნიშვნ ლოვან სარგებლობას მოუტანს.

ქრონიკა

◆ **ექსკურსია ზედაზენში.** მთავარ პოლიტიკურ განათლების სკოლის გარეშე მუშაკის სახლთან არსებული საექსკურსიო ბიურო 12—13 აგვისტოს აწყობს საბუნების-მეტყველო ისტორიულ და არქეოლოგიურ ექსკურსიას ზედაზენის მთიან ადგილებში რკინის გზით 13 ვერსი და ფეხით 9 ვერსი. თავს იყრიან სკოლის გარეშე მუშაკის სახლი, გიორგიევის 4 პუშკინის ბიბლიოთეკის შენობა) გამგზავრება მოხდება შაბათს 12 აგვისტოს ბორჯომის მატარებლით დღის 3 ს. 30 წ. ღამის გათევა ზედაზენში. უკან გამობრუნება საღამოს ან ორშაბათს დილით. წინასწარი ჩაწერა ექსკურსიისათვის და ყოველგვარი ცნობები ბიუროს შენობაში ყოველ დღიურად 2 საათამდე. ექსკურსიის ხელმძღვანელნი—არქეოლოგი ლ. მელიქსეთ-ბეგოვი და ნატურალისტი იაროშენკო. აუცილებელია წამოღება ორი დღის სურსათის, კრუჟკისა და საბნის.

◆ **ეპიდემიის მიმდინარეობა.** ჯანმრთელობის საკ. კომისარიატის სანიტარულ განყოფილების ცნობით ეპიზოტიის მიმდინარეობის შესახებ 1-დან 15 ივლისამდე მსხვილ-ფეხა საქონლის ჭირი შემჩნეულია ახალ-ქალაქის, ბორჩალოს, გორის, სიღნაღის და ახალციხის მაზრებში. აღნიშნულ ადგილებში ხდება აცრა. ციმბირის ჭირი შენიშნულია ოზურგეთის მაზრის სოფელში და პიროპლაზმა და ემფიზემატოზი კარაბუნკული ქ. ლანჩხუთში.

◆ **სტოლერმანის საღამო.** ამ ახლო ხანებში შესდგება სახელმწიფო ოპერის დირიჟორის ს. სტოლერმანის გამოსამშვიდობებელი საღამო, მისი საზამთრო სეზონისათვის ბაქოში გამგზავრების გამო ბაქოს სახელმწ. ოპერის დირიჟორად.

— **საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში. „ჩემო“.** „ჩემომ“ წარუდგინა საქართველოს სა. კომისართა საბჭოს ანგარიში საზოგადოების შემოსავალ გასავალისა უცხოეთის ვალიუტის მიხედვით. ორი კვირის განმავლობაში 17—31 ივლისამდე ვალიუტის მდგომარეობა „ჩემოში“ იყო შემდეგი: შემოვიდა სულ—28.767 გირ. სტერ., 16.000 ოსმალ. ქალ. ლირა, 104 იტალ. ლირა, 3 ფრანკი, 8.551 დოლარი და 3.000 მარკა ამავე ხნის განმავლობაში გასავალი იყო: 28.677 გირ. სტერლ., 17.634 ოსმ. ქალ. ლირა, და 2 309 დოლარი. შემოსავალ გასავლის ანგარიშში ყველაზე მეტ ჯამს შეადგენს ტვირთზიდვის ხარჯები—20.856 გირ. სტერ. ე. ი. მთელი გასავლის სამ მეოთხედს.

— **აღმასკომების თავმჯდომარეთა ყრილობა.** 20 აგვისტოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი იწვევს სრულიად საქართველოს აღმასკომების თავმჯდომარეთა 2-ე ყრილობას.

— **ლუნაჩარსკის ჩამოსვლა.** საბჭოთა რუსეთის სახალხო განათლების კომისარი ჩამოვა მოსკოვიდან საქართველოში 30 აგვისტოს.

— **შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი.** შედგენილია შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ანგარიში. რომელიც იქნება წარმოდგენილი საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, სახ. კომისართა საბჭოში და კომპარტიის ცენტრალ. კომიტეტში.

◆ **საქართველოს სამხედრო გზაზე.** საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის ხარჯზე აღდგენილია ავტომობილით მიმოსვლა თბილისიდან ყაზბეგამდე. დღევანდელმა ნიაღვარმა დარიალის ხეობაში კვლავ დააზიანა გზები მუშაობა გრძელდება გზის საქმეებს განაგებს ინჟინერი ჯამი.

◆ **უმაღლესი სახოფ. სამ. კურსები.** ორშაბათს, 9 აგვისტოს საღამოს 6 საათზე დანიშნულია კურსების მსმენელთა სასწრაფო კრება; ვინაიდან ფრიად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ამიტომ დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

— **მუშა ხელის მოძრაობა.** 7 აგვისტოს თბილისის შრომის ბირჟის მიერ აღნიშნულია 717 უმუშევართა გამოცხადება, რომელთაგან 343 კაცი და 374 ქალი იყო. ეხლად ჩარიცხულია 86 უმუშევარი —56 კ. და 30 ქ. მოთხოვნილება მუშა ხელზე შემოვიდა 31—25 კ. და 6 ქ. გაიგზავნა სამუშაოზე 36 მათ შორის 28 კაცი, 8 ქალი.

◆ **დამატებითი გადასახადი ვაჭრობისაგან.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა აკრიფოს დამატებითი გადასახადი სავაჭრო დაწესებულებებისაგან, რომელიც ვაჭრობას აწარმოებენ დაწესებულ ვადის ზევით ე. ი. 10 ს.—12 საათამდე, ამავე დროს ქალაქის შუა ნაწილში არსებული დაწესებულებანი, რომელნიც ცხელი საჭმელებით ვაჭრობენ გადაიხადონ 10 მილ. მანეთს, ცივი საჭმელებით და სასმელებით მოვაჭრე დაწესებულებები კი 5 მილ. მანეთს. გასაპირად მდებარე დაწესებულებებთათვის გადასახადი შემცირდება 50 პროც..

◆ **ახალი გადასახადი.** საფინანსო განყოფილებას დავალებული აქვს შეიმუშაოს დადგენილება გასართობ დაწესებულებებზე გადასახადის და წესების შესახებ განზრახულია 5 პროც. გადასახადის შემოღება.

◆ **ლობიოს დამზადება.** სასურსათო სახ. კომისარიატმა დასდო ცეკავშირთან ხელშეკრულება ლობიოს დასამზადებლად, უმთავრესად დასავლეთ საქართველოში ჭიათურა საჩხერის რაიონში. დამზადება იწარმოებს სიმინდზე გამოცვლით, რომელსაც უკვე მისცა ცეკავშირს რაოდენობით 2 ვაგონი. სასურსათო სახ კომისარიატი მიიღებს 50 ათას ფ. ლობიოს. სწარმოებს მოლაპარაკება ოზურგეთის და ჩაქვის პლანტაციებიდან ჩაის, ნიგვზის და დაფნის ფოთოლის დამზადების შესახებ.

დღეს თეატრებში.

რუსთაველის თეატრი—გრანდიოზული სურათი ჯუნგლის საიდუმლოება.

ქართული კლუბის საზაფხულო ბაღი—საღამო სეირნობა.

საზაფხულო თეატრი არტო—კონცერტი-კაბარე.

სომხური კლუბის თეატრი—სპ ტაკლი.

მუშათა ცენტრალური კლუბ სპექტაკლი.

მუშათა ცენტრ. კლუბის ახა თეატრი—კინო.

თეატრი წრე—კონცერტი-ცეკვა.

თავისუფალი თეატრი—მე-2 ც ლი ნიღაბის თეატრისა.

თეატრი ამირანი — კონცერტ კაბარე.

პროფ. კავშირ საბჭოს კლუბ სალიტერატურო საღამო.

სოციალური დაზღვევა

(პროცენტების გადარიცხვის ახალი განაკვეთების შემოღების შესახებ)

(ცენტრალური დამზღვევი კასის სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. იაშ ლის საუბრიდან)

მუშათა კლასის ინტერესების რადიკალური დაცვისათვის, სწორად მომუშავე დამზღვევი კასა უნდა აერთიანებდეს სოციალური დაზღვევის შემდეგ განყოფილებებს: 1) დროებითი უნარ მოკლებულობის, დედობრივობის და დამატებითი ხასიათის უზრუნველყოფის და აგრეთვე კასის მონაწილეთა დაკრძალვისა; 2) ინვალიდობის, მოხუცებულობის და დაზღვეულთა ოჯახის წევრის სიკვდილის შემთხვევების. 3) უმუშევრობის და 4) კასის მონაწილეთათვის და მათ ოჯახის წევრთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენის ცენტრალურ დამზღვევ კასაში საკმაოდ განვითარებულია ჩამოთვლილ სოციალურ უზრუნველყოფის პირველი და უკანასკნელი განყოფილებები. სრულებით არ მუშაობს უმუშევრობის შემთხვევის დამზღვევი განყოფილება, ხოლო ინვალიდობის დაზღვევა იმყოფება განვითარების პირველ სტადიაში.

10 პროცენტის გადარიცხვა დაქირავებულ შრომის პირთა ჯამაგირებიდან, თვით სოციალური დაზღვევის ამჟამად არსებულ ფარგლებშიდაც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა ინტერესებს ხოლო ამისათვის სოციალური დაზღვევის ახალი კატეგორიების დროს აუცილებლად უნდა გადიდებული იქნეს პროცენტების გადარიცხვა.

არსებულ ცნობის მიხედვით პროცენტების გადარიცხვის განაწილება სხვა და სხვა კატეგორიებზე ხარჯ იყო ამ რიგად მოზხარიყო: 1) დრ ებით უნარ მოკლებულობის, დედო რიეობის და დამატებითი სახის უ რუნველყოფისა—ვის—6 პროცენ 2) ინვალიდობის, მოხუცებულობ და ოჯახის წევრთა სიკვდილის შ თხვევებში—4 პროცენტი; 3) უმუშ ვრობისათვის—2 პროცენტი და სამკურნალო დახმარებისათვის— პროცენტი; სულ 18 პროცენტი. პრ ცენტების აღნიშნულ ნორმით გადა იცხვის დროს ცენტრალურ დამზღვ კასას შეძლება ექნებოდა მიზან შეწ ნილად და თითქმის საკმაოდ დაკმა ფილებულია მუშა-მოსამსახურეთა ი ტერესები, მაგრამ თუ ანგარიშს გა წევთ არსებულ პირობებს და მასთა ერთად ახალი ეკონომიური პოლიტ კის ამოცანებს, შეუძლებელი ხდებ მიმდინარე წელში, პროცენტების ა საგრძნობლად გადიდება, ვინაიდა ის ტვირთად დააწვა დაწესებულებ ბს და წარმოების ბიუჯეტებს დ მიემატება პირადი შემადგენლობ შესანახ ხარჯებს. ამიტომ მიმდინა რე წელში პროცენტების გადარიც ვის საერთო ნორმა შეიძლება მი ყვანოთ მხოლოდ 12 პროცენტამდე გავანაწილოთ ის დამზღვევ მომუშ ვე კატეგორიებზე, თითოეულისათვ 4 პროცენტის მინიჭებით და ც სახით, უმუშევრობის და ინვალიდო ბის დამზღვევი ახალი კატეგორიის თვის ორ ორი პროცენტის მიცემი

(შემდეგი იქნება)

ცენტრალ სავაჭრო სამმართველოს ოპერაციებ

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსებულმა ცენტრალურმა სავაჭრო სამმართველომ (კოოპ. მომარაგების საბჭო) რომელსაც გარდა სავაჭრო ოპერაციების წარმოებისა მინდობილი აქვს აგრეთვე ტრესტების და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საწარმოვო განყოფილებათა სავაჭრო მოღვაწეობის ხელმძღვანელობა, გამოსცა განსაკუთრებული წესები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს საწარმოვო ორგანიზაციებმა თავიანთ სავაჭრო ოპერაციების წარმოების დროს.

წესების შინაარსი შემდეგია: ყველა ტრესტები და განყოფილებანი. თვეში სამჯერ უდგენენ ცნობას ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს, სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა საქონლის და მასალების მოთხოვნილების შესახებ. ცენტრალური სავაჭრო სამმართველო მიიღებს განცხადებას, როგორც მინდობილობას, რათა გამონახოს ხსენებული მასალები და გამოარკვიოს მათი შეძენის პირობები.

ხელსაყრელ პირობებში ცენტრალური სავაჭრო სამმართველო თვით იძენს ასეთ მასალებს და უთმობს მას საწარმოვო ორგანოებს მცირეოდენი საკომისიო სასყიდლის გადახდევინებით.

ხოლო რათა ტრესტის მოქმედება არ იქნეს შეზღუდული, მას ექნება უფლება უშუალოდ ბაზარზე შეიძინოს მისთვის საჭირო საქონელი, ნაღდ ფულზე—ჯამის განუსაზღვრელად და მხოლოდ საქონლის ნისიად შეძენის დროს—უნდა ქონდეს ცენტრ. სავაჭ. სამმართველოს სანქცია.

ასეთივე მდგომარეობაა ტრესტის ყველა ნაწარმოებთა გაყიდვის დროს. ჯერ-ჯერობით სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საწარმოვო განყოფილებებს არ გამოუჩენიათ საკმაო ენერგია ცენტრალ. სავაჭრ. სამრე ველოსთან კომერციულ კავშირის მ წყობისათვის, მაგრამ პირველმა ცდ ამ მიმართულებით სასურველი შედეგ ბი მოგვცა.

ასე მაგ. გაერთიანებულმა საფე ქრო დ კარაქის დამზადებელმა წა მოებამ გამოუგზავნა შეკვეთა და იმ ვე დღეს დასდო ცენტსავაჭრო სა მართველოსთან ხელშეკრულება, 50 ფუთი ყრბის გაყიდვისათვის. მეორ ხელშეკრულება დადებულ იყო ს ტყეო კომიტეტთან, რომლისაგანა ცენტრალურმა სავაჭრო სამმართვე ლომ შეიძინა ფოთში 5000 ფ. ბ 750 მილ. მან. მისცა რა სამაგიერო მოსკოვის მანუფაქტურა. რუსეთთა სავაჭრო ურთიერთობის განმტკიც ბისთვის ცენტრალურმა სავაჭრო ს მართველომ გაგზავნა მოსკოვში ს ქონლის ტრანსპორტი, რომლი ღირს 1 მილიარდი მანეთი და მე რე პარტია ნიჟნინოვგოროდში მ დებულ მანუფაქტურის მაგიერ.

საერთოდ ცენტრ. სავაჭრო სამმა თველოს ოპერაციები ამ ჟამად დ დად შეფერხებულია იმით, რომ მ საქონლის უდიდესი ნაწილი, თანა მად სახალხო კომისართა საბჭოს დ დგენილებისა გადადის სახალხო ბა კის ხელში. მომარაგების ფონდ მოსაწყობად შემოსულ ხორბლეულ ანგარიშში სწარმოებს სპეციალურ გადასახადის აკრეფა ნატურით კ ოპერატივის თითოეულ წევრთა არ ნაკლებ 1 ფუთი ხორბლეულისა, ს პაიო გადასახადის სახით.

კომისიის მოგზაურობა დაიწყე კათხიდან შემდეგი მიმართულებით თელავი, სიგნახი, გორი, გომი, ზე ტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრ დია, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ლან ხუთი, ოზურგეთი, ბათუმი და სოხ მი. მოგზაურობა მისცემს კომისი აუარებელ მასალას; ადგილებზე კ ოპერატივების და რაიონების ეკ ნომიურ მდგომარეობის შესახებ.

სიმღერა

(მუშათა კლასს)

მიწას ვეტრფვით შენგნით
ოფლით დანაპკურსა,
რომ აბრუნებ მას და
გვაჭმევ ლუკმა პურსა;

ლაზათიან ხელებს
შემოავლებ კვერსა,
მედგრად დაჰკრავ გრდემლს და
გაჰყრი ცეცხლის მტვერსა;—

ამონახეთ ალში
ჩასწვი ბედი მწარე...
შენ შეგხარის არე,—
გეტრფვის მზე და მთვარე;

სევდის ჰანგით ნაზარდს
შენ შთამბერე შველა,
შენ გიგალობ მარად,
შენ გადიდებს ყველა...

მონობის რაც არის,
ამსხვრევ ყველაფერსა;
საბჭოთ ახალ წესებს
ამცნობ ყველა ერსა...

შენთვის სულ ერთია:
ფრანგი, ქურთი, ქისტი...
შენ ხარ შვების ღმერთი,—
შენ ხარ კომუნისტი;

ვერვინ ვერ შეგბღალა,
ირგვლივ მუსრავ მტერსა...
და უმტკიცებ **ლენინს**
მარქსის დანაწერსა...

ანაზარდი.

სასურსათო გადასახადის კამპანია

ბოლო ხანს მოსული ცნობები კვლავ ადასტურებენ, რომ სასურსათო გადასახადის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. აი ეს უკანასკნელი ცნობებიც:

დუშეთის მაზრა. მუშაობა ცოცხლად სწარმოებს. საბოლოო სიების შედგენა უკვე დასრულდა შემდეგ თემებში: ქინვალისაში, მლეთისა, ბაზალეთისა, ანანურისა და მუხრანისაში. დანარჩენ თემებში ამ დღეებში დასრულდება.

ხიდისთ მაზრა. გადასახადის შეგროვება მთელს მაზრაში დაწყებულია. ოფიციალურ ცნობით შეგროვილია 1.073 ფუთი ხორბალი და 380 ფუთი ქერი.

თიანეთის მაზრა. ეს მაზრა ძალიან ჩამორჩენილია როგორც ქონებრივად, ისე კულტურულად. თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ მაზრაში არ მოიპოვება მცირედ მაინც დამაკმაყოფილებელი სასტატისტიკო ცნობები, მაშინ ცხადი გახდება ის მძიმე პირობები, რომელშიაც მუშაობა უხდება სამაზრო სასურსათო სამეულს. სამეული ივლისის 4 ს დაარსდა, რომელიც იმავ დღეს შეუდგა ენერგიულ მუშაობას. ამას გარდა ამ დროს მაზრაში იყო სახალხო სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსტრუქტორი ამხ. რადოფინოვი, რომელმაც პირადად მოიარა სხვადასხვა თემები და უახლოესი მონაწილეობა მიიღო მუშაობაში. ამხ. რადოფინოვისა და სამაზრო სამეულის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების წყალობით სასურსათო მუშაობამ მაზრაში სასურველი სახე მიიღო და სრული იმედია გადასახადის წარმატებით შეგროვებისა. ამხ. რადოფინოვის მოხსენება აღნიშნავს, რომ ალმასკომები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სასურსათო გადასახადის საქმესო, რასაც ისინი ჰხსნიან დროს უქონლობით და სხვა უფრო მნიშვნელოვან მუშაობაში ჩაბმით.

თელავის მაზრა. კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. ოფიციალურ ცნობით შეკრებილია 500 ფუთი ხორბალი.

ბორჯომის რაიონი. ადგილობრივმა ალმასკომმა დაამთავრა ყველა მოსამზადებელი სამუშაო სასურსათო გადასახადის აკრეფისათვის. გაერთიანებულ გადასახადის დეკრეტი, რომელიც სწყვეტს მცხოვრებთათვის მთელ რიგ სიძნელეს, უკანასკნელთა მიერ სიხარულით იქნა მიღებული. საბჭოთა ხელისუფლება დაეხმარა ღარიბ გლეხობას არა მარტო მარცვლეულით; მან იძულებული გახადა გლეხობის შეძლებული ნაწილი დახმარებოდა ღარიბებს თავისი ინვენტარით, მუშა საქონლით. არც ერთი ნაჭერი მიწისა წელს დაუთესავი არ დარჩენილა. სასურსათო გადასახადის აკრება ამ დღეებში დაიწყება.

პარტიული ცხოვრება

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ცირკულიარულად.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ცენტრალურ კომიტეტის მიერ გაგზავნილ ცირკულიარებს ქვემდებარე პარტორგანიზაციები სათანადოთ ვერ ასრულებენ.

აუცილებლივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხშირად უმნიშვნელო მიზეზების გამო, თბილისში მივლინების სახით მოდის საბჭოთა სხვა და სხვა დაწესებულებებიდან კომპარტიის წევრთა დიდი რიცხვი.

რომ არ მივიღოთ მხედველობაში თბილისში არსებული ბინის კრიზისი და ტრანსპორტის ცუდი მდგომარეობა, ეს მოვლენა მრავალ ხარჯებს იწვევს რკინის გზის ტარიფის გადიდების გამო.

ადგილობრივი პარტორგანიზაციები, იმის ნაცვლად რომ პარტიული ძალები რაციონალურად გამოიყენონ, ქსაქსავენ მათ უაზრო და უმიზნო მივლინებების გამო, და ყველა ეს ხდება საოლქო და სამაზრო კომიტეტის უნებართვოთ.

ს. კ. პ. ც. კ. წინადადებას გაძლევთ, რათა შეწყვეტილ იქნას ასეთი სეპარატიული მივლინებები და მომავალში კი არც ერთი პარტიის წევრი საბჭოთა ორგანიზაციების მიერ არ იქნეს მივლინებაში გაგზავნილი მაზრის ფარგლების გარეშე, თუ ამაზე არ იქნება სათანადო დასტური საოლქო და სამაზრო კომიტეტების მხრივ.

აგრეთვე წინადადება გეძლევათ, რათა ყოველი მივლინება ამა თუ იმ ამხანაგისა იყვეს სათანადო ვადით განსაზღვრული, რის გამო ადგილი არ ექნება პროვინციელ ამხანაგების უმიზნო—უსაქმო ხეტიალს თბილისში.

პარტ. ამხანაგების მივლინებაში გზავნა, როგორც საბჭოთა, აგრეთვე პარტორგანიზაციების მიერ, უნდა იქნეს ძლიერ შემცირებული და მინიმუმამდე მიყვანილი.

საოლქო და სამაზრო კომიტეტები ვალდებულნი არიან აწარმოონ სწორი აღრიცხვა ცენტრში მივლინებულ პარტიულ მომუშავეთა, ყოველთვიურ ანგარიშებში უნდა იქნეს მოყვანილი საერთო რიცხვი მაზრის ფარგლების გარეშე მივლინებისა და მათი ხასიათი.

საოლქო კომიტეტებს და სამაზკომის მდივნებს არა აქვთ მივლინებაში წასვლის უფლება ცეკას უსანქციოთ ან სპეციალურად ცეკას მიერ გამოწვევის გარეშე.

მივლინების დროს მტკიცედ იხელმძღვანელეთ უკანასკნელი ცეკას ცირკულიარული წერილებით. № 128 და 129 და ამ ცირკულიარით.

ხსენებულ ცირკულიარების დამრღვევნი, იქნებიან მატერიალურ დახმარებას მოკლებულნი და გაგზავნილი შრომის ბირჟაში საერთო წესით. ან და უკან იქნებიან დაბრუნებულნი გამომგზავნილ ორგანიზაციის ხარჯზე.

ამხანაგები, რომლებიც თავიანთ სურვილისამებრ იცვლიან ადგილებს და სამუშაოს, გადასვლა გადმოსვლისათვის გაწეულ ხარჯებს ღებულობენ თავიანთ თავზედ.

ამასთანავე, როგორც საერთო წესი, აუცილებლად საჭიროა ამხანაგის გადასვლის შესახებ იმ პარტკომის თანხმობა, სადაც იგი სამუშაოდ იგზავნება.

გავალებთ დაუყოვნებლივ გააცნოთ ამ ცირკულიარის შინაარსი ყველა პარტიულ ორგანიზაციებს ცხოვრებაში მტკიცედ გასატარებლად.

ზემო აღნიშნულ წესის დარღვევისათვის პასუხს აგებენ სათანადო პარტორგანიზაციები.

ც. კ. მდივანი **ხახაშვილი**

აღმრიცხვ. განმანაწ. განყ. გამგე **ლიცინოვი.**

მბეჭდავთა შორის

მბეჭდავთა გაერთიანებულ იაჩეიკის წევრთა რიცხვი თანდათან იზრდება და საქმიანობა დღითი-დღე მატულობს.

მე-4 რაიონულ კომიტეტის დადგენილებით გაერთიანებულ იაჩეიკაზე მიმაგრებულ იქნა შემდეგი ორი იაჩეიკა: 1) პოლიტიკურ სამმართველოსი, 2) ცალკე კავკასიის არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოსი, სადაც შედიან „კრასნი ვოინ“-ის სტამბის მუშები.

ეს იაჩეიკები მთლიანად დაესწრენ გაერთიანებულ იაჩეიკის მორიგ სხდომას.

სამხედრო იაჩეიკების მბეჭდავების გაერთიანებულ იაჩეიკასთან მიმაგრების მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს ამხ. იაშვილმა და პაპოვმა, რომელთაც აუხსნეს კრებას მიმაგრებული იაჩეიკების ცხოვრება და აღნიშნეს, რომ ამ იაჩეიკების გაერთიანება არ არის შემთხვევითი მოვლენა. კავშირი მუშებსა და წითელ-არმიელებს შორის აუცილებელია, ვინაიდან რაც უფრო მჭიდრო და ძლიერი იქნება კავშირი მათ შორის, მით უკეთესად განამტკიცებენ მუშა-გლეხურ ხელისუფლებას.

დასასრულ ამხ. პაპოვი გამოსთქვამს რწმენას, რომ გაერთიანებული იაჩეიკის მუშაობა იქნება საქმიანი და მით შეასრულებს ყველა დასახულ ამოცანებს.

შემდეგ მოისმინეს მოხსენება (გაგრძელება) ჰააგის კონფერენციის შესახებ. მომხსენებელი სოკოლოვსკი დაწვრილებით აცნობს კრებას ჰააგის კონფერენციის მუშაობას და მის შედეგებს და მიუთითებს საბჭოთა დელეგაციის სწორ პოზიციაზე სადაო საკითხების გარჩევის დროს.

მოხსენების შესახებ ილაპარაკეს მთელ რიგ ამხანაგებმა, რომელთაც აღნიშნეს სწორი პოზიცია საბჭოთა დელეგაციისა ევროპის კონფერენციებზე.

შემდეგ მოისმინეს ამხ. როსტომოვის ინფორმაციული მოხსენება ახალგაზრდათა კომ. კავშირის იაჩეიკის მუშაობის შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ იაჩეიკის წევრთა რიცხვი თან და თან იზრდება და ამ ჟამად უდრის 40 წ. კამოს სახელობის საბავშვო სახლის გახსნისათვის ახალგაზრ. კომ. კავშირ. იაჩეიკამ გადასდო 1 მილ. 415 ათასი მან.

კორესპ.-ინფორ, **ტ. ხარაზიანი.**

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

თხილის დამზადება.

სახალხო სასურსათო კომისარიატი ზუგდიდის მაზრაში თხილის დამზადებას შეუდგა ფართო სახელმწიფოებრივ მასშტაბით. ამიტომ ამ მაზრიდან თხილის გამოტანა აკრძალულია სახალხო სასურსათო კომისარიატის სპეციალურ ნებართვის აუღებლად.

საულუფო პურის ღირებულება.

სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებით ის პური, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ ულუფის სახით, შეფასებულია 5.500 მან. გირვანქა. ამიტომ აგვისტოს 1 დან მუშა-მოსამსახურეებს ეს ჯამი უნდა გამოერიცხოთ ჯამაგირიდან.

გასაზიდად აკრძალული საქონელი.

სახალხო სასურსათო კომისარიატი შეუდგა იმ საქონლის სიის გადასინჯვას, რომლის გატანაც აკრძალულია რესპუბლიკის ფარგლებიდან. გასატანად ნებადართულ საქონლის სია ამ დღეებში გამოქვეყნდება.

ლობიოს დამზადება.

სახალხო სასურსათო კომისარიატის საოპერაციო ცენტრი წელს ლობიოს ამზადებს შორაპნის მაზრაში. დამზადებულ იქნება 40.000-მდე ფუთი ლობიო.

ბათომის კანტორა.

სახალხო სასურსათო კომისარიატის ბათომის დამამზადებელ საკომისიო კანტორა ფართო საკომერციო ოპერაციებს შეუდგა. კანტორის შტატი დამტკიცებულია და შესდგება 11 კაცისაგან. კანტორის გამგე ამხ. დვალს წინადადება მიეცა, მიიღოს უსასტიკესი ზომები, რათა სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ გაცემული ნებართვანი ვინმემ ბოროტად არ მოიხმაროს.

თბილისის ბირჟა.

თბილისი. 8 აგვისტო. თბილისის სავაჭრო სავალიუტო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 7 აგვისტოს: ოქროს 10 მანეთიანი—950.000, ოსმალ. ლირა—140.000, გირ. სტერლ.—950.000, დოლარი—210.000.

ბაქოს ბირჟა.

ბაქო 2 აგვისტო (კავროსტა). ბაქოს სავაჭრო-სავალიუტო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 31 ივლისს—1 აგვისტოს. დოლარი—5.100.000—5.200.000, გირ. სტერლინგი—23.000.000—23.800.000, საფრანგ. ფრანკი—460.000—460.000, იტალ. ლირა—250.000—250.000, ოსმალ. ლირა—3.475.000—3.475.000, გერმ. მარკა—11.500—11.200. რუსეთის ვალდებ. რუსეთის—1922 წ.—(100 ათასი მან. ქვევით)—97—97. რუსეთ 1922 წ. (100 ათ. მან. ზევით)—97—97. რუსეთ. 1922 წ. ვალდ 10 მილ.—97—97. შემცირებული ვალდებულ. 5 000. 10.000 მან. 96—96. ქართული ბონი—2,200 — 2.200., 500 მან. რომან.—800 000 800,000., 1,000 მ. კერენსკი — 200,000, ოქროს 10 მ. 24.000.000 24.000.000, ოსმალ. ოქროს ლირა . 19.200.000 —19 200.000., ოქრო 56 სასინჯ 5.000 000—5 000.000., თუმანი — 3.600.000 — 3 600.000., 1 მ ვერცხ. 1.300.000 — 1.270.000, 1 მ. ხურდა ფ. 550.000 — 550 000.,

ერევნის ბირჟა.

ერევანი. 7 აგვისტო (რადიო). ვალიუტის ბაზრის ფასები სომხ. ფულის ნიშნებით: ოქროს 10 მანეთი—38.000.000, ოსმალ. ოქროს ლირა—34.000.000, ბანკნოტი—5.200.000 მ. დოლარი—8.400.000 მ. თუმანი—5.400.000 ქართ. ბონი—38.000.000.

რომის ბირჟა.

რომი. 6 აგვისტო (რადიო). დახურდავება 5 აგვისტოს პარიზი—177,25, ლონდონი—96, შვეიცარია—410, ნიუიორკი—21,57 ბერლინი—2,90 პრაგა—53, ხენტა—71,50, კონსოლიდაცია—79,05, იტალიის ბანკი—1600, კომერციული ბანკი—843. გარკონით 217.

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 7 აგვისტო. გირ, სტერლინ. — 3415,70, დოლარი—761,55, ჰოლანდიის გულდენი—30262.

პარიზის ბირჟა.

პარიზი. 7 აგვისტო (რადიო) დახურდავება: ლონდონი—54,64, ნიუიორკი—12,35, გერმანია — 1,675. ბელგია—94,30, ისპანია — 190,25, ჰოლანდია -475.50, იტალია—56,20 შვეიცარია—233, ნაციონალ. საკრედ. ბილეთი—1919 წ.—485,25, 1920 წ. 435. ოტომანის ბანკი—743, ოტომანის თამბაქო—410.

ტოკიო მარხილი: ბრინჯი—80,50, კრახმალი—160, რენტა—3 პროც.—59,45, 4 პროც.—1918 წ.—69. 5 პროც.—1915--1916. წ. 76,50, 5 პროც. 1920 წ.—90,18, 6 პროც. 1920 წ. 91,25.

მუშათა ცხოვრება

სამაზრო ალმასკომი

აქ მუშაობს 68 მამაკაცი და 13 დედაკაცი. შრომის კანონების დაცვის მხრივ ეს დაწესებულება მოისუსტებს. სავალდებულო დადგენილება შრომის კანონების თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდების შესახებ არაა შესრულებული. ასეთ კანონს აქ ვერც თვალსაჩინო ადგილს იპოვი და ვერც სხვაგან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ შრომის კანონების დაცვის საქმეს გულგრილათ ეკიდებიან. ისინი დიდ ყურადღებას არ აქცევენ ასეთი კანონი იქნება თუ არა დაცული.

ამით აიხსნება, რომ აქ შრომის დეკრეტები სავსებით არ სრულდება დამლაგებული ქალები 10 საათს მუშაობენ.

თვით შენობას აქვს ბევრი ტეხნიკურ სანიტარული ხასიათის დეფექტები, რაც შრომის პირობებზე ცუდათ მოქმედობს. შენობა ერთობ ძველია, შით კედლები ჩამონგრეული, კლაზეტი უწყლობის გამო უსუფთაოდ და სხვა.

არაა მუშა-მოსამსახურეებისათვის არც გადადუღებული წყალი. დაწესებულებაში ვერ ნახავთ ვერც პირსაბანს, პირსახოცს და საპონს.

ყოველივე ამის გამო ვიჩაგრებით მუშა-მოსამსახურეები. უნდა მოვსთხოვოთ ალმასკომს ამ დეფექტების გასწორება.

მოხამსახურე.

მუშკოპი

მუშკოპში სამკურნალო და დაზღვევის საქმე კარგად არის მოწყობილი მუშკოპის მუშა-მოსამსახურეებისათვის დაქირავებულია ცალკე ექიმი. ზღვეულების ფულის შეტანა თავის დროზე სწარმოებს. სოციალური დაზღვევა საერთო წესით არის გატარებული.

მაგრამ მუშკოპის ადმინისტრაცია შრომის კანონების შესრულებაში ზოგჯერ დაუდევრობას იჩენს. მაგალითად კანონით ფიზიკურ მუშებს უნდა მიეცეთ ხალათი და სპეც. ტანისამოსი. მუშკოპისათვის ამ კანონის შესრულება იოლია, ვინაიდან ასეთი თვით მრავალი აქვთ. მიუხედავათ ამისა დამლაგებლებს, დარაჯებს და სხვებს ეს ტანისამოსი არ ეძლევათ. ეს ადგილკომის სისუსტის ბრალიცაა. ის ვერ იცავს მუშა-მოსამსახურეების ინტერესებს სათანადოთ. საჭირია მეტი ენერგიული მუშაობის გამოჩენა.

ქ. ღ—შვილი.

დასასვენებელი სახლები მცხეთაში.

მცხეთის დასასვენებელ სახლებში მუშაობა ენერგიულად სწარმოებს. ყოველ ორ კვირაში იგზავნება, ნუშათა ახალ ახალი ჯგუფები. პირველიდან ხუთ აგვისტომდი გაიგზავნა 225 მუშა მოსამსახურე. აქედან მამაკაცი იყო 126, დედაკაცი 99. ფიზიკური შრომის 180 (80 პროც.) და გონებრივი 45 (20 პროც.)

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკების დროს სახელმწიფოებრივი ზრუნვა მუშებზე მენშევიკების მრავლს იქით არ მიდიოდა, თუ მენშევიკი არ იყავი ამათოთ შეეცდებოდი სახელმწიფოებრივ ქონებით და სიმდიდრით სარგებლობას, ახლა კი ეს ასე არაა. ახლა პარტიების მხრივ გარჩევა არაა და ყოველ მუშას სათანადო მზრუნველობა და დახმარება ეწევა. მაგალითად 225 გაგზავნილ მუშათა შორის, კომუნისტია მხოლოდ 25, კ. ა. კ. 12, მემარცხენე სოც. ფედერალისტი 2, უპარტიო 186.

საგარაკოთ გაგზავნილ მუშათა შემადგენლობა კავშირების მხრივ ასეთია: მბეჭდავებისაგან 30, სამკერვალოს—34, საგემსაკვები 31, მეღვინე 11, ქიმიკთა 1, მეფიქრეთა 2, საამშენებლო 1, ხის დამამუშავებელთა 3, მეტყავეების 4, მიწა-ტყის 3, სახალხოგამოკვების 1, ტრანსპორტის 3, ფოსტა-ტელეგრაფის 8, ს. მ. ს. შრომის 7, საბჭ. მოსამსახურეების 19, ხელოვნების 22, განათლების 19, კომუნ. მეურნეობის 32.

დასასვენებელ სახლებზე, 31 ივლისამდი სულ არის დახარჯული—477.000.000 მანეთი. აქედან დაიხარჯა შენობის მოწყობასა და შეკეთებაზე 145,901,000 მან. ქონების შეძენაზე 38,455,000 მან. ნივთების გადატანაზე 8,425,000 მან. სურსათის შესაძენათ—201,890,000 მან. ს. პ. კ. ს. ავტომობილის შეკეთება—10,000,000 მ. მოსამსახურეთა შტატი 40.433.500 მან. გათბობა და განათება 1,937,000 მან. ცოცხალი ინვენტარი (ცხენი) 10,180,000 მან. წვრილი ხარჯები—3,222,000 მან.

ჯარიმების ფულიდან დასასვენებელ სახლებს გადმოეცა 232,100,000 მან. შრომის სახალხო კომისარიატმა მისცა 20,500,000 მან. სახალხო კომისართა საბჭომ 225.000.000 მან.

მოაგარაკე.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის საფეიქრო სახელოსნო

ამ სახელოსნოში მუშაობს 5 მამაკაცი 10 დედაკაცი და 60 შეგირდი ქალი. ამ სახელოსნოში შენიშნულია ტეხნიკურ-სანიტარულ ხასიათის დეფექტები. ნოხების საქსოვ განყოფილებაში კედელი და თარო ჩამონგრეულია და საჭიროა შეკეთება. მე-2 და 3 სართულზე აივანს მოაჯირი არა აქვს. ოთახების დამლაგებელი სცხოვრობს ნოტიო ოთახში. ზემო სართულის სამზარეულო გაბინძურებულია. სახურავსაც სჭირია შეკეთება. ტეხნიკურმა ინსპექტორმა უკვე გააფრთხილა სახელოსნოს ადმინისტრაცია და წინადადება მისცა ერთი თვის განმავლობაში გაასწოროს შენიშნული დეფექტები. სახელოსნოს ადგილკომსაც მართებს ზრუნვა ამ საქმეზე.

ხელოსანი.

სამაზრო ალმასკომი

სამაზრო ალმასკომის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომი ვერ იჩენს საჭირო ფხას და უნარს. ის კავშირის ჩანასახი ორგანო და მუშათა ინტერესების დაცვა მისგან უნდა გამომდინარეობდეს და იწყებოდეს როგორც წინათ აღვნიშნეთ შრომის დაცვის კანონების განხორციელების მხრივ. ამ დაწესებულებას აქვს მთელი რიგი დეფექტები. არც ერთ ამ დეფექტს ადგილკომი ყურადღებას არ აქცევს და არც ვისაც ჯერ არს აქცევინებს.

ადგილკომის მოღვაწეობის სისუსტეთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქ კულტ მუშაობა სრულებით არ სწარმოებს. ასეთი მუშაობა კი დიდათ საჭიროა.

არ სწარმოებს აგრეთვე ზღვეულების ფულის შეტანა. ეს კი იოლი წარმოსადგენია თუ რა შედეგებს მოიტანს მუშა-მოსამსახურეებისათვის. ამას უეჭველად უნდა მიექცეს ყურადღება.

ამას წინათ გვეწვია შრომის ინსპექტორი, ჩამოთვალა ყველა ეს დეფექტები. და ალმასკომის ადმინისტრაციას წინადადება მისცა ორი კვირის განმავლობაში გაესწორებია დეფექტები. ახლა სიტყვა ადგილკომს ეკუთვნის. მან უნდა აიძულოს დაწესებულების ადმინისტრაცია, რათა შრომის კანონები დაიცვას.

მ.—ძე.

ჭიათურა.

ჭიათურის შავი ქვას საქართველოს საგარეო ვაჭრობის საქმეში უდიდესი ადგილი უკავია. ახლა ამ წარმოებას ხანგრძლივ კრიზისს შემდეგ გამოცოცხლება დაეტყო. წარმოების გამოცოცხლებამ ისევ მოიწვია შრომის ნადიმზე მშრომელთა ელემენტები და კვლავ მოგროვდენ საქართველოს ყოველ კუთხიდან მუშები. აქ მუშაობენ სპარსელი მუშებიც.

სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ მუშები თავისუფალ დროს გონებრივ განვითარებას არ ანდომებენ და ასეთ დროს ხშირათ სამიკიტნოებში ატარებენ, რითაც ჭიათურა ძალიან მდიდარია. ხშირად შეხვდებით აგრეთვე მუშებს ყავახანებში. ყველასათვის ცხადია, რომ მუშა ასეთ დაწესებულებაში ბევრს დაკარგავს და შეძენით ვერაფერს შეიძენს. ჭიათურის მუშათა ორგანიზაციამ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაპყრას. ასეთ ანორმალურ გარემოებასთან ბრძოლის მიზნით უნდა გაიხსნას მუშათა კლუბი, სადაც მუშები ლექციებისა და გაზეთ წიგნების საშუალებით ბევრს შეიძენს.

ჭიათურელი მ.

რკინის გზელებს შორის

ამხანაგებო რკინის გზის მუშებო! მოგიწოდებთ თქვენ, როგორც ძველ რევოლიუციონერ მუშებს დაირაზმოთ პროფკავშირში და აქედან ენერგიული ბრძოლა გაუწიოთ რევოლიუციის მტრებს. კაპიტალი ისევ ჩნდება ასპარეზზე და ის ჩვენ დაგვჩაგრავს, თუ მას მომზადებული და შეკავშირებული არ შევხვდით. თქვენ კარგათ იცით ამხანაგურ პროფესიონალურ კავშირის მნიშვნელობა. ეს მუშათა საკუთარი ოჯახია, მისი ინტერესების დამცველი ორგანოა. ყოველი მუშა ვალდებულია ჩაებას საკავშირო მუშაობაში და ენერგიული ბრძოლა გასწიოს თავისა და თავის ამხანაგების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. კავშირის საშუალებით უნდა გავხსნათ საურთიერთო დამხმარე კასა, მუშათა კოოპერატივი და სხვა. უნდა განვთავისუფლდეთ კერძო ბაზრისა და სპეკულიანტების ექსპლოატაციისაგან. ამხანაგებო, ძველათ საშინელ პირობებში გვიბრძოლია და გვიმუშავია მუშათა განთავისუფლების საქმისათვის და მით უმეტეს ახლა გვმართებს.

გაუმარჯოს მუშათა ინტერესების მედგარ დამცველს პროფკავშირებს.

დეპოს მუშა **ზაქ. ხირბილიშვილი.**

ოკასთან არსებულ დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ფურნე.

შენობა, სადაც მუშები ვმუშაობთ ძალიან მოუწყობელია. სახურავი წამხდარია და წვიმის დროს წყალი ჩამოდის. ეს ერთი, რომ ჩვენ გვიძნელებს ნორმალურათ მუშაობას და მეორე თვით პურის უფთად გამოცხობას შეუძლებლათ ხდის. აგრეთვე საჭიროა კედლების გათეთრება. ფურნეში სიწმინდის დაცვას თვით წარმოების ინტერესიც მოითხოვს. საჭიროა ყურადღება.

ვინმე.

საჭიროა ყურადღება მიექცეს

უნდა ითქვას, რომ როგორც ძველი რეჟიმის დროს, აგრეთვე მენშევიკების დროსაც ძალიან ადვილი ხდებოდა ჩაგვრა და ყვლეფა მუშა ხელისა. მაგრამ ბატონ ხაზეინები მუშათა კლასის გაბატონების შემდეგაც არ იშლიან ძველ ჩვეულებას და არ ექვემდებარებიან საბჭოთა წყობილების კანონებს. მაგალითად სახლის პატრონს პანასევიჩას ქუჩა № 8-ში აყვანილი ჰყავს მეეზოვე შრომის ბირჟის გარეშე და საშინელ ექსპლოატაციას ეწევა მასზე (მეეზოვეზე), თვეში აძლევს მხოლოდ 500.000 მანეთს, მეტს არაფერს. მეეზოვე კი იძულებულია გაჭირვების გამო ემსახუროს მას და მოკლებულია საშუალებას თავისი განუვითარებლობის წყალობით ისარგებლოს საბჭოთა კანონებით. საჭიროა ასეთ მოვლენას მიექცეს ყურადღება და მოეღოს ბოლო ხაზეინის უკანონო მოქმედებას.

აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს, რომ არა მარტო პანასევიჩის ქუჩაზე მოიპოვებიან ასეთი ხაზეინები, არამედ მრავალი ასეთებია კიდევ ქალაქში. ამასთანავე ერთად საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მეეზოვეები საერთოდ როგორც წინათ, აგრეთვე ახლაც მეტად ჩამორჩენილები არიან. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ დარგის მუშებს, რათა იქნას შეტანილი მათში პოლიტიკურ-კულტურული გათვითცნობიერება, ჩაბმულ იქნან ისინიც პროფ. მუშობაში.

ნატებეროველი წითელი არმიელი.

საპასუხოთ ამხ. ვ-ძეს

ა | წ. 5 აგვისტოს № 178 გაზეთ კომუნისტში მოთავსებულია წერილი ფინანსთა სახალხო კომისარიატზე ამხანაგ ვ.-ძე-სი, რომელსაც მიზნად დაუსახავს გამოასწოროს ვითომც დანაკლისი, როგორც საბჭოთა მოსამსახურეების კავშირისა ისე ადგილკომის მოქმედებისა ფინანსთა სახალხო კომისარიატში, მაგრამ, რასაც ის იხსენიებს თავის წერილში, მე თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ სრული სიყალბეა და თუ ამხ. ვ.-ძეს თვალი არა აქვს, რომ შეხედოს და წაიკითხოს ის დებულებანი, რომლებიც ჩვენ კავშირიდან მიღებული გვაქვს და მასთანვე ადგილკომის მოქმედებას გაეცნოს იმ თვალსაჩინო დაფით რომელზედაც სისტემატიურათ იკვრებოდა და იკვრება ყოველივე მოქმედება და დამოკიდებულება ჩვენი კავშირთან და კავშირის ჩვენთან და თუ ამხანაგი ვ. ძე დაინტერესებულათ სთვლის თავს, რომ ეს დებულების მუხლი, რომელშიდაც მოხსენებულია, რომ ყოველივე მოქმედება ადგილკომისა უნდა იქნეს თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებული, მობრძანდეს დაწესებულებაში და ვაჩვენებთ არის თუ არა შესრულებული მუხლი იმ დებულებისა, რომელიც მისგან მოყვანილ სიყალბეს აბათილებს. მაგრამ მე მგონია ამხ. ვ. ძე სრულიად არ ესწრება დაწესებულებაში საერთო თანამშრომელთა კრებებს, რომელზედაც ჩვენ მათ ყოველივე დებულებებს ვაცნობთ და ვუხმარტავთ და არც იმ თვალსაჩინო ადგილისთვის მიუმართავს, რომელზედაც ის სწერს თავის წერილში.

ხ. ხაზანოელი.

პასუხად საზანოელს

თქვენი წერილის საპასუხოთ უნდა მოგახსენოთ შემდეგი. 19 ივლისს თქვენი საკომისარიატო დაათვალიერა შრომის ინსპექტორმა სუხორუკოვმა, ადგილკომის თავმჯდომარის და სხვათა თანადასწრებით. აღმოჩნდა, რომ შრომის კანონების არც ერთი დეკრეტი და დადგენილება საკომისარიატოში არსად არ იყო გაკრული. ამაზე თვალყურის დევნება ადგილკომის საქმეა. ადგილკომს ამისათვის სრულებით არ მიუქცევია ყურადღება. სუხარუკოვმა ძირითად სარევიზიო ფურცელში ეს ჩაინიშნა კიდეც. არ კმარა მარტო თქვენი დადგენილებათა გაკვრა, საჭიროა საერთოდ შრომის კანონების თვალსაჩინო ადგილებზე გამოკიდება. ვიმეორებთ, ეს ადგილკომის საქმეა.

ვ.—ძე.

პროფკავშირებში

სრულიად საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოს მუშა-მოსამსახურეთა მეორე ყრილობა.

4 აგვისტოს ქალ. თბილისში „მიხა ცხაკაიას“ კლუბში „ფოსტელ კლუბი“ გაიხსნა სრულიად საქართველოს ფოსტელთა კავშირის მეორე ყრილობა.

ყრილობაზე გამოცხადა 50 დელეგატი. კომუნისტები 33, თანაგრძნობი 2, უპარტიო 12, მენშევიკი 1, მემარცხენე ფედერალისტი 2.

ყრილობას გახსნილათ აცხადებს ც. გამგეობის პასუხის მგებელი მდივანი ამხ. ხარაბაძე და მოუწოდებს ყრილობას ფეხზე ადგომით პატივი სცენ ძველ რევოლიუციონერს ამხ. კამოს ხსოვნას, აგრეთვე იხსენიებს ფოსტელთა კავშირის წევრებს რომლებიც გამოაკლდენ კავშირს. ყრილობას ესალმებიან: ც. გ. სახელით ამხ. ხარაბაძე, საქართველოს ფოსტატელეგრაფის სახალხო კომისარი ამხ. ალექსი ყამარაული, საქართველოს პროფკავშირთა სახელით ამხ. ჩახუნაშვილი. საქართველოს კომპარტიის ცეკას წარმომადგენელი ამხ. კ. ოდილავაძე, და ამიერ-კავკასიის ფოსტის სახალხო კომისარი ამხ. მარკარიანი. ამხ. ხარაბაძე აქვეყნებს სრულიად რუსეთის და სომხეთის ფოსტელთა კავშირიდან გამოგზავნილი მისასალმებელ დეპეშებს.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 7 კაცი: ამხ. ამხ. გეგეჭკორი, მ., ალექსანდ. ყამარაული, შილა ჩიხლაძე, რომან კოპრავა, ილია ჭელიძე, ჩოჩია ვლადიმერი და დუმბაძე ივანე. პრეზიდიუმი იკავებს თავის ადგილს. გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა საერთაშორისო რევოლიუციის ბელადს ამხ. ლენინს.

არჩეულ იქნენ ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ ამხ. ამხ. ფ. მახარაძე, ლადო დუმბაძე, ტომსკი, ლოზოვსკი და რუსეთის ფოსტელთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ხოდეევი, რომლებსაც გაეგზავნა სათანადო მისასალმებელი დეპეშები ყრილობის სახელით.

დამტკიცებულ იქნა ყრილობის რეგლამენტი და დღის წესრიგი შემდეგი შინაარსით: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) მოხ-

სენება ცენტრალური გამგეობის მუშაობაზე. 3) მოხსენება ადგილებიდან, 4) მოხ. სახკომფოსტტელის, 5) საორგანიზაციო საკითხი 6) ქალთა შორის მუშაობა 7) სატარიფო და საფინანსო საკითხები, 8) კულტურული საკითხი 9) შრომის დაცვა და მუშების დაზღვევა 10) უმუშევართა შესახებ 11) დამშეულთა დახმარება 12) არჩევნები: ა) ცენტრალური გამგეობის ბ. სარევიზიო კომისიის გ) ს. პ. კ. პლენუმის წევრების დელეგატებისა დ) სრულიად რუსეთის ფოსტელთა მე 5 თე ყრილობაზ.

ყრილობის მეორე დღე.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვართანიანცი. რომელიც ვრცლად და შინაარსიანათ განუმარტავს ყრილობას საერთაშორისო ურთიერთობას საბჭოთა ფედერაციების და კაპიტალისტების ქვეყნებისას. აღნიშნავს აგრეთვე კონფერენციების შედეგებს, რის შემდეგ ხდება რიგი სიმპატიური ხელშეკრულებები საბჭოთა რუსეთთან. მოხსენებელი მიუთითებს გერმანიის ამბებზე, აღნიშნავს სხვა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობას. ხაზს უსვამს ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა მთლიანი ფრონტის შექმნას და ამით გამოსთქვამს, რომ მუშათა ერთიანი ფრონტით შეეძლებათ კაპიტალის სრულ დამარცხებას. იქნა მიღებული შესაფერი რეზოლიუცია.

ცენტრალური კომიტეტის მთელი წლის მოქმედებაზე მოხსენებას აკეთებს ამხ ხარაბაძე, რომელიც ვრცლად და ცალ-ცალკე იხება სხვა და სხვა კავშირის განყოფილების მუშაობას. საორგანიზაციო საკითხში აღნიშნავს, რომ შტატების თან და თან შემცირების გამო, აგრეთვე თანხის უქონლობის გამო კავშირს არ ქონდა საშუალება ეგზავნა ინსტრუქტორები პროვინციაში და ქონებოდა მეტი მჭიდრო კავშირი, აგრეთვე მიუთითებს ახლო მომავალში ამიერ კავკასიის ფოსტელთა ბიუროს შექმნაზე.

შტატების შემცირება აგრეთვე საგრძნობი იყო კულტურულ განყოფილებისათვის, მაგრამ ამ დარგში ბევრი რამ არის გაკეთებული. ამხ. მოხსენებელი ცალ-ცალკე აღნიშნავს მთელი წლის განმავლობაში თუ რა კულტურული, დრამატიული, მუსიკალური სექციები იქნა დაარსებული. აგრეთვე მუსიკათვის ინსტრუმენტები და სამკითხველოებისათვის რამოდენიმე ათასი წიგნები იქნა შეძენილი, თუმცა—მუშაობა იყო თბილისის ფარგლებში და რამოდენიმე პროვინციაში, მაგრამ მომავალში კი იმედია შეეცდება ც. გ. უფრო მჭიდრო კავშირის გაბმას პროვინციასთან. მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვას ქალ. თბილისში არ ექცეოდა ყურადღება. ქონდა შემთხვევები და აქვს დღესაც პროვინციაში შრომის კანონების დარღვევას. ასეთ შემთხვევებს ყრილობამ უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება. სატარიფო საკითხის შესახებ მოხსენებელი აღნიშნავს, რომ მრავალჯერ ტარიფების შეცვლის გამო კავშირს უხდებოდა ბევრი მუშაობა. დადებული იქნა კოლექტიური ხელშეკრულებები ადმინისტრაციასთან, რომლის ცხოვრებაში გატარებას უნდა შეეცადოს ორივე მხარე და არ იქნეს შემთხვევები არავითარ კონფლიქტებს. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, კავშირს ქონებია თავისი სამკურნალო ქ. ფოთში, აგრეთვე მოწყობილია ქალ. თბილისში ცენტრალური კოოპერატივი ამ წლის განმავლობაში, აქვს სათანადო თანხა და მომავალში კი ეს კოოპერატივი ფიქრობს გახსნას თავისი განყოფილებები პროვინციებში. მოხსენებელი ეხება აგრეთვე მრავალ რიგ კონკრეტიულ საკითხებს.

(გაგრძელება იქნება)

პროვინციაში

ქ. სურამი.

სურამში არსებობს მცირე საკინო თეატრის გარდა, ორი დიდი თეატრი: ერთი საზამთრო—ორ სართულიან ქვითკირიან შენობაში, ყოველივე საჭირო ოთახებით და ბუფეტით. ეს თეატრი იტევს 500 კაცს, მეორე საზაფხულო, აგრეთვე მშვენივრადაა მოწყობილია, შენობა გამოანგარიშებულია 1000 კაცისათვის. ამას გარდა აქვთ მოწყობილი კიდევ ქვემო უბანში და იტრიაში კერძო სახლებში სცენები, არის სცენები აგრეთვე სოფ. ტეზერში და ქემერში. ერთი სიტყვით სურამი და მისი თემის მცხოვრებნი თეატრების შენობების რაოდენობის მხრივ სრულიად უზრუნველყოფილია.

ბევრჯერ განიზრახა ქალ. სურამმა ერთხელ და სამუდამოთ მაგარ საფუძველზე მოეწყო მუდმივი დრამატიული დასი, ჯამაგირებითვე. ხანდახან ახერხებდა მიზანს კიდეც, რამოდენიმე თვით არსდებოდა მოთამაშეთა დასი, იმართებოდა წარმოდგენები, მარა მერე იშლებოდა, და ეს აიხსნება არა იმდენად უსახსრობით, ვინაიდან საქმის მოყვარე მოთამაშეთა ჯგუფი შემოსავლის მხრივ უზრუნველყოფილი იქნებოდა. ქალ. სურამს საკმარისი მცხოვრებლები ყავს—15,000 კაც., ზაფხულობით ეს ციფრი 20,000 აჭარბებს, და აქ რომ კარგი დასი იყოს, ქონებრივათ ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება. აი, ამის მაგალითი: საკმარისი იყო, რომ თბილისიდან სტუმრებოდა სურამის სცენაზე მოთამაშეთა დასი ორი დღით, ყოველ ღამ ჰქონდათ მათ შემოსავალი 8 მილიონი. უფრო მეტი შემოსავალი იქნებოდათ, რომ ქართულად დაედგათ წარმოდგენები.

ამ ერთი თვის წინათ ეწვია ქალ. სურამს მისთვის ნაკლებ ცნობილი სცენაზე მოთამაშე—მიხეილ ვარდოშვილი. ქალ. სურამის ხელისუფლება სიამოვნებით შეხვდა მის ჩამოსვლას, მიანდო მას მოთამაშეთა დასის შედგენა და ამა ზაფხულს წარმოდგენების გამართვა, რისთვის აღუთქვა მას ყოველ მხრივ დახმარება. ვარდოშვილი ემზადა ერთი თვე, მერე როგორც იყო ამცნო სურამის საზოგადოებას აფიშებით რომ 30 ამა მკათათვეს დაიდგმება ქართული წარმოდგენა, კომედია ადვოკატი მელაძე. მართალია ეს პიესა ძველია, მარა ხალხი თითქმის საკმარისი დაესწრო. მაგრამ მოხდა უცნაური ამბავი: ქართულის მაგიერ წავიდა რუსულ ენაზე უბრალო კომედია „იუბილეი" და „პრედლაჟენიე" ასეთი ფაქტის მიზეზი საზოგადოებისთვის გაუგებარი დარჩა.

სასურველია და საჭიროც, რომ სათანადო ორგანოები მიიღებდნენ ზომას მუდმივ დასების მოსაწყობად სურამში და საერთოდ პროვინციაში, რათა მშრომელ მასას, შეეძლოს დაიწყოს ესთეტიურ-კულტურულ განვითარებას.

კოტე ქურდიშანიძე.

სამტრედია.

ხუთშაბათს, 27 ივლისს მოხდა თათბირი, ყველა სამტრედიის რაიონში არსებულ კოოპერატივების გამგეობისა, კავშირ „კონას" ინიციატივით. თათბირს დაესწრო 11 კოოპერატივიდან წარმომადგენელი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. გ. ნაფეტვარიძე მდივნათ ს. კ—ლი.

დღიური წესრიგი.

1) მოხსენებები ადგილებიდან.
2) მომავალი მუშაობის გეგმის შემუშავება.

პრესაში საკმაოთ იყო გაშუქებული თუ რა მდგომარეობაშია კოოპერატივები სამტრედიის რაიონში, მენშევიკებმა ის გამოიყენეს თავიანთი დაღუპული საქმის გამოსაკეთებლათ და დაღუპეს კოოპერაცია. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მთელს სამტრედიის რაიონში მხოლოდ ორ კოოპერატივს უდგანა სული სათანადოთ, რომელიც ზარალს არ იძლევა, დანარჩენი ამ თერთმეტიდანაც უკანასკნელ სულთ მობრძავ ავადმყოფს მოგვაგონებს, რომელსაც თუ სათანადო წამალი არ დაედო, დღეს თუ ხვალ უნდა მოკვდეს...

მომავალი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა „კონას" თავჯდ. ამხ გ. ნაფეტვარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კოოპერაციის გამოსაცოცხლებლად საჭიროა უკიდურესი ცენტრალიზმი, რადგან ზოგი კოოპერატივები გვერდს უვლიან კავშირს და ასე ზარალობს, როგორც კოოპერაცია, ისე მისი კავშირიც; საამისო გეგმაც წარმოადგინა. თათბირმა დიდი ხნის კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიიღო ის. ამნაირათ მენშევიკების მიერ დაქცეული კოოპერაცია ფეხზე დგება და უნდა ვიფიქროთ, რომ ის მომავალში გაამართლებს ჩვენს იმედებს. ამის თავდებია ასეთი საქმიანი ხასიათის თათბირი, რომელიც მოხდა 27 ივლისს. ყველა დაინტერესებული იყო რაიმე მალამო დაედვათ მისთვის.

ვუსურვოთ ჩვენც ეს დადგენილება ქაღალდზე არ დარჩენილიყოს და ეხლავე შედგომოდნენ სათანადო ნაბიჯების გადადგმას.

ხან—კანი.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „კომუნისტის" 4 აგვისტოს ნომერში, ქრონიკაში იყო მოთავსებული ცნობა იმის შესახებ, რომ ცენტრალური სავაჭრო სამმართველოში მომხდარმა რევიზიამ აღმოაჩინა უწესოება და ბოროტ მოქმედება, რის შემდეგ ზოგიერთი მოხელენი გადაყენებულ იქნენ სამსახურიდან.

ცენტრ. სავაჭრო სამმართველო აცხადებს, რომ დღემდი რევიზიას არავითარი ბოროტმოქმედება არ აღმოუჩენია და ამის შესახებ გამგეობას ინსპექციიდან ცნობა არ მიუღია.

რაც შეეხება მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოთხოვნით მოხელეთა გადაყენებას სამსახურიდან, ეს მოხდა საქმის გამოურკვევლად გამგეობის თავმჯდომარის აქ არ ყოფნის დროს და მისი დაბრუნების შემდეგ, ეს საკითხი დაისვა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის განსახილველად.

გამგეობის თავმჯდომარე **გ. არეშიძე.**

პარტიული

ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, დილის 9 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში, გაიმართება **პოლიტიკურ წრეების ყველა ხელმძღვანელთა თათბირი** ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

სხდომაზე მოწვეულ იქნებიან სამხედრო პოლიტ-წრეების და სხვა ჯგუფურ მეცადინეობათა მუშაკები.

დღის წესრიგი:

1) ხელმძღვანელის ინფორმაცია პოლიტ-წრეების მუშაობის შესახებ.
2) განხილვა და შემუშავება პოლიტ-წრეების მუშაობის პროგრამისა და მეთოდებისა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

(2—2)

საქართველოს კომ. პარტიის მე-4 რაიონის კომიტეტი გატყობინებს ყველა კომიაჩეიკების, რომ ოთხშაბათს, 9 აგვისტოს საღამოს სწორ ექვს საათზე პროფ. კავშირის საბჭოს დიდ დარბაზში შედგება საერთო კრება პარტიის წევრთა და კანდიდატების ჯარის ნაწილებთან ერთად.

დღიურ წესრიგში სდგას მოხსენება:

1) ამხ. კამოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.
2) საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

სავალდებულოა ყველა ამხანაგების დასწრება. არ გამოცხადებულნი დაისჯებიან პარტიული დისციპლინის მთელი სისასტიკით.

მე 4 რაიონის პასუხისმგებელი მდივანი **ბუაჩიძე.** (2—2)

საქართველოს კომპარტიის თბილისის სამაზრო კომიტეტი აცხადებს, კომიტეტის ყველა წევრების და ორგანიზატორების საყურადღებოთ, რომ 10 აგვისტოს 1922 წ. დანიშნულია თბილისის სამაზრო კომიტეტის პლენუმის და თბილისის მაზრის ორგანიზატორ-ინსტრუქტორების მორიგი კრება.

დღის წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტი.
2) ადგილებიდან მოხსენებები.
3) პარტიამშენებლობის ახალ კონსტრუქციასთან დამოკიდებული საორგანიზაციო საკითხი.
4) მიმდინარე საქმეები.

კომიტეტის წევრების და ორგანიზატორ-ინსტრუქტორების დასწრება 10 აგვისტოსთვის სავალდებულოა.

თ. მ. კ. მდივნის მაგიერ **თ. ადამიძე.** (5—3)

სარედაქციო კოლეგია.

ღრმად მწუხარე მეუღლე, გიორგი კაციას ძე საჯაია, შვილები: ტასიკო და გუგული, გულდაწყვეტილი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ამხანაგებს, უდროოდ დაკარგვას მათთვის ძვირფასი

ანასტასია ილია თუხარელის ასულის საჯაიასას,

რომლის ტირილი, უკანასკნელი გამოთხოვების წირვა და დაკრძალვა დანიშნულია აგვისტოს 10 ს. დილის 5 საათზე, საკუთარი ბინიდან ბორჯომის ქ. № 5 წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათიდან. (2—1)

გულდათუთქული დედა მარიამ შვილით ნინო ჯანდაკაშვილი, სოლომონ ჯანდაკაშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობართა და ნაცნობებს, რომ 5 აგვისტოს თბილისში გარდაიცვალა მათი უსაყვარელესი

თამარა სოლომონის ძე ჯანდაკაშვილი

პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 საათზე, გამოსვენება წმინდა მარინის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, საკუთარი სახლიდან ფალავანდოვის ქ. № 19. (1—1)

საჭიროა

უმაღლეს სწავლა დამთავრებული, ფრიად გამოცდილი და უმაღლეს კომერციულ დაწესებულებებში ნამსახური ქართული ენის მცოდნე ბუხჰალტერი.

მისამართი: სამმართველო არტელი „მშრომელთა კომმუნა"-ს ტფილისის სადგურზე. (3—3)

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამოდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება. (0—15)

განცხადება

ფულის გადაგზავნა

საქართველოს სახალხო ბანკის მიერ მოსკოვში პრესის კონტრ-სააგენტოს სახელზე: 1) 24 ივნისიდან № 91—91 70 მილ. და 2) 1 ივლისიდან 170 მილ. მ. საბჭოთა ფულის ნიშნებით ჩაითვალის გაუქმებულად.

(3—1) **გრიგორი მასკვაჩი.**

ყველა დაწესებულებათა და მოქალაქეთა საყურადღებოთ

კომუნალურ მეურნეობის საადგილ მამულო განყოფილება უკვე შეუდგა ბოსტნებიდან და ბაღებიდან (მანთაშევის ყოფ. ბაღი ორთაჭალაში და სიხარულიძის ყოფ. ბაღი საბურთალოში) ქონახულის გაყიდვას.

ქონახულის ფასები შედარებით ბაზრის საშითუმო ფასებთან ხუთიდან 10 პროც. ნაკლებია (ცნობა სტატისტიკურ განყოფილების).

საადგილ მამულო განყოფილებასთან ხელშეკრულებითი შეთანხმებაში შესულთათვის . . . . გადახდის სააგენსო სისტემა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განყოფილებაში 10—3 საათამდის ოთახი № 52.

საადგილ მამულო განყოფილება.

ქ. თბილისი. (3—1)

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს გარდაცვალებულ დიმიტრი ისტატეს ძე თეოდოროვის მემკვიდრეებს, რათა მათ წარადგინონ უფლება დატოვებულ სიკვდილის შემდეგ ქონებაზე.

(1—1) სახალხო მოსამართლე **მარ. ჩხეიძე**

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო

ბანკი

ამით აცხადებს, რომ კლიენტებთან ფულის ანგარიშების გასწორების და აგრეთვე რესპუბლიკაში ფულის ტრიალის გასაადვილებლად 7 აგვისტოდან (ორშაბათიდან)

გამოშვებულ იქნება ბანკის ვალდებულებანი

ღირებულებით **1000.000, 500.000;100.000**
და **5.000,000** მანეთისა.

ეს ვალდებულებანი **უზრუნველყოფილი** იქნება ქართული ბონებით გამოშვებულ რაოდენობის მიხედვით და განაღდებული იქნება ბანკის მიერ მათ წარმოდგენისთანავე როგორც ბანკის გამგეობის კასაში—თბილისში, ისე მის განყოფილებებში, ამ ვალდებულებათა

მიღება სავალდებულო არ არის ყველა მცხოვრებთათვის,

მაგრამ ბონების ვალდებულებებზე გადაცვლა და პირიქით ხდება ბანკში როგორც კლიენტებისათვის, ისე ყველა პირთათვის, რომლებიც წარუდგენენ ბანკს ვალდებულებას.

(4—3) **სახალხო ბანკის გამგეობა.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

აცხადებს, რომ ამ ჟამად მოქმედ ტფილისის და ბათუმის ქალაქის სადგურების გარდა ამა წლის 1 აგვისტოდან დაიწყებს მოქმედებას ბაქოს **ქალაქის სადგური.** ქალაქის სადგური აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს: ადგილობრივ და პირდაპირ მიმოსვლის მატარებლებზე სამგზავრო ბილეთების გაყიდვას მატარებლის გასვლის წინა დღეებში (არა უგვიანეს ერთი კვირისა) ან იმავე დღეს; ყველა სიჩქარის და მიმოსვლის ბარგისა და ტვირთების მიღებას და გაცემას, როგორც თვით ქალაქის სადგურზე, ისე სახლებში, მაღაზიებში საწყობებში და სხვაგან, ქალაქის ფარგლებს შიგნით; ტვირთების გადატანას სადგურიდან სახლებში, მაღაზიებში და სხვ. ქალაქის ყველა რაიონებში და სხვა ოპერაციებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან, საღამოს 3 საათამდე, ხოლო კვირაობით და უქმე დღეებში დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 1 საათამდე.

შეკვეთის მიღება ხწარმოებს ტელეფონით.

(3—2)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91. (25—7)

ქალაქ თბილისის ელექტრონის სადგურის სამმართველო

„შეს"

ამით აცნობებს ყველა აბონენტებს, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონის სადგურების ენერგიით, რომ ისინი ვალდებული არიან **თავის დროზე შეიტანონ ხვედრი გადასახადი**, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც თავის დროზე არ შემოიტანს გადასახადს, **მათ ენერგია არ მიეცემათ.**

იმ აბონენტებს, რომლებსაც ენერგია არ ეძლევა ანგარიშის გაუსწორებლობის გამო და უარს აცხადებენ გადახდაზე, გადახდება მათი ხვედრი ქირა ადმინისტრატიული წესით. (3—3)

თბილისის ქალაქის აღმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილება

უკანასკნელად აცნობებს ყველა სახლის პატრონებს, რომ რეგისტრაციაში გასატარებლად სახლების საანკეტო ფურცლების გაყიდვის ვადა გაგრძელებულია 12 აგვისტომდე, საანკეტო ფურცელი ღირს 100.000 მან. იმ შემთხვევაში თუ სახლის პატრონი არ გამოცხადდა რეგისტრაციაზე

12 აგვისტომდე,

საანკეტო ფურცლის ფასი გადიდებული იქნება 500.000 მანეთამდე.

(7—3)

ბინით სარგებლობის კანონი

გამოცემულია ცალკე ბროშურებათ და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უკანასკნელი, ამ ჟამად მოქმედი დეკრეტები და დადგენილებანი საბინაო საკითხის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთან.

თითო ეკზემპლიარი ეღირება 20 ათასი მანეთი.

(0—7)

გაზ. „პრავდა გრუზიი"-ის 29 ივლისის № 397-ში გამოქვეყნებულ განცხადების დამატებათ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

სახალხო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის ამა წლის 28 ივლისს № 63 დადგენილების მე 4 მუხლის თანახმად, წინანდელ დადგენილებათა დამატებათ აღნიშნულია:

1. ყველა მასალა და ქონება, რომელიც დარჩათ სახალხო კომისარიატებს და კერძოთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, წინად არსებულ დაწესებულებათაგან, უნდა გადავიდეს სახალხო კომისართა საბჭოს ფონდში.

2. ის მასალები, რომელიც საჭიროა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსათვის წარმოებათა სამუშევრად დარჩეს მათ განკარგულებაში და ჩაითვალოს როგორც სესხი აღებული სახალხო კომისართა საბჭოდან.

გაუწყებთ რა ზემოხსენებულს, სახალხო ბანკის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მოყვანილ დადგენილების მე-2 მუხლის განსამარტებლად სახალხო ბანკის მიერ შემუშავებული იქნება განსაკუთრებული ინსტრუქცია.

სახალხო ბანკის გამგეობა.

6—4

[illegible] 10708. [illegible]

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.